პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 10 (19751) სამშაბათი, 13 იანვარი, 1987 წელი. ფასი 3 კაპ.

შრომითი ქრონიკა

გეგმის გადამეტებით

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ზესტაფონის რაიონის შორაპნის ქარხანა „ელექტროელემენტში“ 1987 წლის პირველი დღეები მაღალი შრომითი მაჩვენებლებით აღინიშნა. აქ ყოველდღიურ დავალებებს 105-110 პროცენტით ასრულებენ, ნაცვლად 317 ათასისა, უშვებენ 325 ათას ცალ ელემენტს. კოლექტივმა შარშანდელი წლის საგეგმო დავალებები წარმატებით შეასრულა. გეგმის გადამეტებით მომხმარებელს 307 ათასი მანეთის პროდუქცია მიაწოდა.

ამასთან საწარმომ პროდუქციის მიწოდების სახელმწიფო დავალება 100 პროცენტით შეასრულა. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებულია 60 ათასი მანეთი. ორი პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

განსაკუთრებით გამოჩინეს თავი მ. გელაზონიას, დ. ბებიაშვილის, მ. მანჯავიძის და მ. ლომსაძის ბრიგადებმა. ეს ბრიგადები, რომლებშიც გაერთიანებულია 580 მუშა, შრომის ანაზღაურების ახალი სისტემით მუშაობენ.

ქარხნის კოლექტივმა ახალი გადიდებული ვალდებულება იკისრა: გადაწყვიტეს 1987 წლის ბოლომდე გამოუშვან 400 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. ამასთან გაზრდიან შრომის ნაყოფიერებას და შეამცირებენ პროდუქციის თვითღირებულებას.

ზამთარშიაც მაღალი წველადობისათვის

სამტრედია. (საკ. კორ.). ჩინებულად დაიწყეს წელიწადი მეურნეობების მეცხოველეებმა. ყველა ფერმაში პროდუქტიულობის მატების სწრაფი ტემპი იგრძნობა. განვლილ ათ დღეში სახელმწიფოს მიეყიდა 78 ტონა რძე, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან 19 ტონით მეტი. ახლა ფერმები ყველ-კარაქის მთავარ ქარხანას ყოველდღიურად 500-600 კილოგრამით მეტ რძეს აბარებენ, ვიდრე შარშან ამავე პერიოდში.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქ. სამტრედიის ლენინის, ჯიხაიშის სტალინის, იანეთის მახარაძის, სოჯავახოს პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობების, ღანირისა და ვაზისუბნის საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეებმა, რომლებიც პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისა და ზამთარშიც დიდი წველადობისათვის იღვწიან.

რაიონის ფერმის მუშაკებმა ჩაებნენ რა დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, გადაწყვიტეს ხუთწლედის ორი წლის წველადობის გეგმა-დავალება ამ თარიღისათვის შეასრულონ.

ალიარება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ფიზიკის ინსტიტუტის პლაზმის ფიზიკის განყოფილებაში პროფესორ ნოდარ ცინცაძის ხელმძღვანელობით ინტენსიურად მიმდინარეობს ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის გამოკვლევები, შექმნილია ორიგინალური დანადგარები პლაზმის ფიზიკის შესასწავლად და სხვადასხვა პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად. განყოფილებაში შექმნილმა ლაზერმა და მის საშუალებით ინფრაწითელი ჰოლოგრაფიული მეთოდით პლაზმის დიაგნოსტიკამ ფართო აღიარება მოიპოვა.

სურათებზე: უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მერაბ თაქთაქიშვილი ზემაღალი სიხშირის დანადგართან; მეცნიერი თანამშრომელი გია გუმბარიძე ჰოლოგრაფიულ დანადგარს ამზადებს ექსპერიმენტისათვის.

დ. იაკობაშვილის ფოტო.





პროფკავშირული ქრილობის შესახვედრად

საქართველოს პროფკავშირებში მიმდინარე საანგარიშო-საარჩევნო კამპანია, რომელიც შარშან პირველ აგვისტოს დაიწყო, დეკემბრის დამლევისათვის მთლიანად დამთავრდა. აგვისტო-ოქტომბერში საანგარიშო კრებები და კონფერენციები გაიმართა რესპუბლიკის ყველა 18630 პირველადს პროფკავშირულ ორგანიზაციაში, 8330 საამქრო ორგანიზაციასა და პროფბიუროში, 61630 პროფჯგუფში. ნოემბერ-დეკემბერში კი საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციები გაიმართა ყველა 542 რაიონულ და საქალაქო, საგზაო და ტერიტორიულ, 21 საოლქო, 23 რესპუბლიკურ კომიტეტსა და 3-ამ საოლქო საბჭოში.

საქართველოს პროფკავშირის მოღვაწეობის საანგარიშო პერიოდი, რომელიც 1982-1986 წლებს მოიცავს, აღსავსე იყო მრავალი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენით. ამ მოვლენათა შორის ყველაზე ღირსშესანიშნავია სკკპ XXVII ყრილობა, რომელმაც შეაჯამა პარტიის ყოველმხრივი მოღვაწეობა მეთერმეტე ხუთწლედში და განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების, გარდაქმნისა და დაჩქარების სტრატეგია მეთორმეტე ხუთწლედისა და მთლიანად 2000 წლამდე პერიოდისათვის. ასევე გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმი, რომელმაც დასახა ამოცანები ყრილობის მიერ მოწონებული სტრატეგიის განსახორციელებლად. ერთი სიტყვით, ჩვენს დიდ ქვეყანას დაუდგა ღრმა ცვლილებების, სოციალისტური საზოგადოების ცხოვრების ყველა მიმართულებით მასშტაბური გარდაქმნის თვისებრივად ახალი ეტაპი, რაშიც თავისი გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას პროფკავშირმა. „ყველაზე მასობრივი ორგანიზაცია ჩვენში პროფკავშირებია, — ხაზგასმით აღინიშნა XXVII ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში, — ისინი მთლიანად ცოტას რიდი აკეთებენ მუშების, მოსამსახურეებისა და კოლმეურნეების მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის, შეჯიბრების განვითარების, დისციპლინის განმტკიცების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის“.

რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციები, განუხრელად ხელმძღვანელობენ რა ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, დიდ მუშაობას ეწევიან შრომითი კოლექტივების დარაზმვისათვის, რათა მათი ყურადღების ცენტრში ყოველთვის იყოს ისეთი საკვანძო საკითხები, როგორიცაა გარდაქმნა, დაჩქარება, მეცნიერულ-ტექნიკური განახლება, ახალი ტექნიკის დანერგვა, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა. მოსახლეობის სავაჭრო, სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების პირობების გაუმჯობესება, მათი დასვენების უკეთ ორგანიზება, საბინაო პრობლემათა მოგვარება და სხვა. ყოველივე ეს მოწმობს, რომ პროფკავშირებს საგრძნობი როლი ეკუთვნით და ამასთანავე უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრიათ ჩვენი პარტიის პოლიტიკის, კერძოდ, მისი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში. პროფკავშირები, რომლებიც გავლენას ხაზოგადოებრივ ძალად გვევლინებიან, ჩვენი სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლად გადაიქცნენ და ჩვენი პოლიტიკური, სამეურნეო ცხოვრების საერთო სოციალისტური პრინციპებით ხელმძღვანელობენ. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა პროფკავშირულ ორგანიზაციათა ავტორიტეტი, თვით პროფკავშირულ მუშაკთა ავტორიტეტი, მათი კომპეტენტურობა, ინიციატივა, თანამშრომლებისადმი დასახული საკითხთა გადაწყვეტაში. ამას, უნინარეს ყოვლისა, მოწმობს ის პრინციპულობა და ურთიერთ მომთხოვნელობის დონე, რომელიც ყრილობისწინა ანგარიშგება-არჩევნების კამპანიას ახასიათებდა. მარტო ის ფაქტი რაღდენს მეტყველებს, რომ კამათში მონაწილეობა მიიღო 413858 კაცმა. პირუთვნელად გამოითქვა ათასობით კრიტიკული შენიშვნა და წინადადება, აღინიშნა ნაკლი, რომლებსაც ადგილებზე დიდი მონდომებით ასწორებენ პროფკავშირული ორგანიზაციები.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და კონფერენციებზე განსაკუთრებული სიცხადით გამოიკვეთა ამა თუ იმ საკითხისადმი მშრომელთა შემოქმედებითი მიდგომა, ინიციატივა, სასარგებლო თაოსნობა. მაგალითად, მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყომშენებლობის მუშათა პროფკავშირის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციამ მოიწონა მოწინავე ბრიგადრების ო. ორაგველიძისა და ნ. სტაცენკოს ბრიგადების პატრიოტული თაოსნობა — „პირადი დამღიდან ბრიგადულამდე!“ ეს ინიციატივა ლიტონი სიტყვით როდია: ასეთი პრინციპით მუშაობამ შარშან თითოეულ ბრიგადას 70 ათასი მანეთის ეკონომიკური ეფექტი მისცა. ანდა ავიღოთ ხე-ტყის, ქაღალდისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის კონფერენცია, სადაც დელეგატებმა მოიწონეს და ერთხმად დაუჭირეს მხარი თბილისის ავეჯის საწარმოო გაერთიანება „განთიადის“ ინიციატივას — „მეთორმეტე ხუთწლედის ბოლოსათვის ყველა ბრიგადა იყოს“, პროდუქციის ყველა ასორტიმენტი — სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი!“.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ წარმატებებისა და მიღწევების პარალელურად გამოავლინა ნაკლოვანებებიც, რომლებიც ხელს უშლიან ცოცხალ საქმეს. სამწუხაროდ, ზოგან ჯერ კიდევ არიან ისეთი მოუმზადებელი სამეურნეო მუშაკები, რომლებმაც სწორად ვერ გაიგეს სოციალისტური შეჯიბრების მართვის პროცესი დღევანდელ ეტაპზე. ამიტომ მათ შეჯიბრება მხოლოდ პროფკავშირის კომიტეტების საქმედ მიაჩნიათ და თვითონ კი განზე დგომას ამჯობინებენ. ამის მკაფიო მაგალითად გამოდგება მარნეულის რაიონის საბჭოთა კონსტიტუციის სახლეობის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა, სადაც სოციალისტური შეჯიბრების გაშლა საკვებმრეწველოთა მორის ბრძანებით პროფკავშირის კომიტეტს დაავალეს, ხოლო მეურნეობის ხელმძღვანელობისათვის კი შეჯიბრების ორგანიზაციაში მონაწილეობა ზედმეტად მიიჩნიეს. სწორედ ამიტომაა, რომ ჯერ კიდევ ბევრია ფორმალიზმი სოციალისტური შეჯიბრების უმაღლესი ფორმის — შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის ორგანიზაციაში. ზოგიერთ საწარმოში, კოლმეურნეობასა, საბჭოთა მეურნეობასა თუ სამშენებლო ორგანიზაციაში კომუნისტური შრომის დამკვრელების მხოლოდ სიტი არსებობს, ხოლო თუ რა მაჩვენებლების მიღწევისათვის მიანიჭეს მათ ეს სატიტო წოდება, საამისო დოკუმენტები არ გააჩნიათ.

ამიტომ პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, გულმოდგინედ რომ ემზადებიან თავიანთი XVIII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, რომელიც იანვრის ბოლოს გაიმართება, აქედანვე დიდი ბრძოლა უნდა გააჩაღონ და კონკრეტული ღონისძიებები დასახონ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. სამეურნეო ორგანოებთან ერთად პროფკავშირის თითოეულმა რგოლმა განუხრელად უნდა განავითაროს და სრულყოს სოციალისტური შეჯიბრების ფორმები და შეთოდები, აამაღლოს მისი ქმედითობა, რათა საბოლოოდ მოისპოს ფორმალიზმი, შაბლონი.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ ნათელი მოჰფინა ერთ ნაკლსაც. პროფკავშირის ზოგიერთი რაიკომი ხათანადოდ ვერ აფასებს კოლექტიური იჯარის მნიშვნელობას წარმოების ეფექტიანობის გაზრდაში. ამ მხრივ რიგზე ვერ არის საქმე ადიგენის, ბოლნისის, ვანის, ახალქალაქის, ახალციხის, ლაგოდეხის, წითელწყაროს, ქარელის, მარნეულის, ამბროლაურის, ჩოხატაურის რაიონების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზოგადოებრივ მეურნეობებში. მაგალითად, ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებში, სადაც საუკეთესო პირობებია კოლექტიური იჯარის დანერგვისათვის, 118 საწარმოო ბრიგადიდან ამ მეთოდით ფლეგენდეთ მხოლოდ ო�oდე ბრიგადა და რგოლი მუშაობს.

დღეს, როცა ჩვენს ქვეყანაში ფართო მოძრაობა დაიწყო პროდუქციის სახელმწიფო მიღებისათვის, განსაკუთრებული როლი აკისრიათ პროფკავშირულ ორგანიზაციებს პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის. ამასთან დაკავშირებით მთა მოელი ულმობლობით უნდა იბრძოლონ უხარისხო პროდუქციის გამოშვების, თვალისასწავლის, წამატებების, უგერგილობის წინააღმდეგ. ცნობილი გახდა, რომ ბოლო ათნ სახელმწიფო გეგმის შესრულებაში ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში გამოვლინდა 51 მილიონი მანეთის წამატებები, ხოლო მაუდის კომბინატში — 9 მილიონი მანეთისა. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს №3 ტრესტში ჩაგენილი წამატება 2 მილიონი მანეთით განისაზღვრება. ბუნებრივად ისმის კითხვა: ასად იყვნენ, რას აკეთებდნენ აქ ჩამოთვლილ საწარმოთა პროფკავშირული რგოლები, მათი ხელმძღვანელები?! ეს ყველაფერი ხომ მათ ფეხქვეშ ხდებოდა.

კარზეა მომდგარი როგორც რესპუბლიკური, ისე საკავშირო პროფკავშირის ყრილობა და იმედია, საქართველოს პროფკავშირი ახალი სამეურნეო მიჯნების დალაშქვრის გზით ღირსეულად შეხვდება ამ დიდ ფორუმებს.

მანქანათმშენებლობას რომ მტკიცე ზურგი ჰქონდეს

მანქანათმშენებლობის ზურგს უწოდებენ ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის საწარმოებს. მათი მრავალფეროვანი პროდუქციის ტექნიკურ დონესა და ხარისხზე უშუალოდ არის დამოკიდებული ინტენსიფიკაციის ტემპი მანქანათსაშენებელ დარგებში, საშინაო და საგარეო ბაზრებზე მათი კონკურენტუნარიანობის დონე. მათთვის ნაწარმის უდიდესი მომწოდებლები არიან სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე გაერთიანებები და საწარმოები.

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შერსულებისათვის ამ შრომითი კოლექტივების ამოცანები განიხილეს რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომელზეც მოწვეულნი იყვნენ სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს: საქართველოში მოქმედი საწარმოების მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები და ხელმძღვანელები, მთელი რიგი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები, სამეცნიერო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. ნიკოლსკმან. შეკრებილთა წინაშე გამოვიდა სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის მინისტრი ნ. ა. პანიჩევი.

სკკპ XXVII ყრილობაზე დასახულ სახალხო მეურნეობის ტექნიკური განახლების პროგრამაში საკვანძო ადგილი უკავია მანქანათსაშენებელ კომპლექსს, ხაზგასმით აღინიშნა აქტივის კრებაზე. პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის უნდა განვაახლოთ მისი ჩარხების პარკი, უზრუნველვყოთ იგი თანამედროვე ტექნოლოგიური საპურვლითა და ეფექტიანი ინსტრუმენტებით. მაგრამ სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს საქართველოს საწარმოები ნელა გარდაიქმნებიან, ვერ აკმაყოფილებენ მანქანათმშენებელთა მოთხოვნილებებს, ურიგდებიან ჩამორჩენას მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით. ბოლო წლებში აქ ბევრი სერიოზული პრობლემაც დგა-როდა, რომელთა გადაწყვეტილ-ებათა შესრულებისათვის ამ შრომითი კოლექტივების ამოცანები განიხილეს რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომელზეც მოწვეულნი იყვნენ სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს საქართველოში მოქმედი საწარმოების მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები და ხელმძღვანელები, მთელი რიგი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები, სამეცნიერო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.**

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. ნიკოლსკმან. შეკრებილთა წინაშე გამოვიდა სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის მინისტრი ნ. ა. პანიჩევი.

სკკპ XXVII ყრილობაზე დასახულ სახალხო მეურნეობის ტექნიკური განახლების პროგრამაში საკვანძო ადგილი უკავია მანქანათსაშენებელ კომპლექსს, ხაზგასმით აღინიშნა აქტივის კრებაზე. პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის უნდა განვაახლოთ მისი ჩარხების პარკი, უზრუნველვყოთ იგი თანამედროვე ტექნოლოგიური საპურვლითა და ეფექტიანი ინსტრუმენტებით. მაგრამ სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს საქართველოს საწარმოები ნელა გარდაიქმნებიან, ვერ აკმაყოფილებენ მანქანათმშენებელთა მოთხოვნილებებს, ურიგდებიან ჩამორჩენას მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით. ბოლო წლებში აქ ბევრი სერიოზული პრობლემაც დგა-როდა, რომელთა გადაწყვეტილ-ებათა შესრულებისათვის ამ შრომითი კოლექტივების ამოცანები განიხილეს რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომელზეც მოწვეულნი იყვნენ სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს: საქართველოში მოქმედი საწარმოების მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები და ხელმძღვანელები, მთელი რიგი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები, სამეცნიერო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. ნიკოლსკმან. შეკრებილთა წინაშე გამოვიდა სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის მინისტრი ნ. ა. პანიჩევი.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გაიმართა რესპუბლიკის სახაგრომრეწვის კოლეგიის გაფართოებული სხდომა. მასში მონაწილეობდნენ მეურნეობრიობის: ახალი ფორმების დანერგვის პრობლემათა შემსწავლელი სემინარის მსმენელებიც — რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების თავმჯდომარეები, აგრომრეწვის ეკონომიკური სამსახურების მუშაკები, მეცნიერები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

სხდომა გახსნა საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გ. დ. მგელაძემ.

კოლეგიის სხდომაზე გამოვიდნენ სახაგრომრეწვის თავმჯდომარეები: აფხაზეთის ასს რესპუბლიკისა — ს. ა. საკაანი, აჭარის ასს რესპუბლიკისა — ს. ჯ. ინაიშვილი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა — გ. ვ. ცოტნაშვილი, გარდაბნის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ც. ლ. მოსიძე, ზუგდიდის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე თ. ნ. ცირამეა, ლმანისის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების მთავარი ბუღალტერი ფ. ვ. დემინტიევა, გორის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე ა. გ. ქარელი, წითელწყაროს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე გ. ლ. ნათეხაძე.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატაშვილი.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ დამდგარმა 1987 წელმა ბევრად უფრო გარკვევით უნდა განსაზღვროს რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები. შარშან ხომ მთელი რიგი ობიექტური სიძნელეების მიუხედავად, მან მთლიანად შეასრულა სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმა. და აქ თავისი როლი შეასრულა სოფლის მეურნეობამ, რომელმაც ნედლეულით უზრუნველყო გადამამუშავებელი მრეწველობა.

გადასაჭრელ, რესპუბლიკისათვის ყველაზე მწვავე პრობლემებს შორის, მრავალი წელია ყურადღებას რომ იპყრობს, დაასახელეს მეცხოველეობა. დარგში შექმნილი მდგომარეობა თანაბრად აღელვებს ყველას — ადამიანებსაც, რომლებიც აწარმოებენ და ამუშავებენ პროდუქციას, და მის მომხმარებლებსაც. აქ მდგომარეობის გამოსწორებისა და გაუმჯობესების ერთადერთი გზაა ინტენსიფიკაცია, დარგის ყველა რეზერვის ამოქმედება. ერთ-ერთი მთავარი, კერძოდ, არის მეცხოველეობის კომპლექსების სრული საპროექტო სიმძლავრით ამოქმედება.

ერთი სიტყვით, შესაძლებლობანი ბევრია. საჭიროა საგულდაგულო მიზანმიმართული, კონკრეტული მუშაობა მეურნეობებში, ფერმებში, ბრიგადებში, რგოლებში.

საქართველო ტრადიციული მეხილეობისა და მებოსტნეობის რესპუბლიკაც არის. და მაღალხარისხოვან ხილსა და ბოსტნეულზე მისი მოსახლეობის მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილება უპირველესი მნიშვნელობის ამოცანაა. ამასთან მისი გადაწყვეტა შეიძლება შედარებით სწრაფად. საჭიროა ოღონდ დაესახოთ ზუსტი პროგრამა, ზედმიწევნით, გულისყურით შეავსწავლოთ ყველა შესაძლებლობა და გონივრულად, მიზანმიმართულად ვიმოქმედოთ. ამ პროგრამის რეალიზაციას სათავეში უთუოდ უნდა ჩაუდგეს რესპუბლიკის სახაგრომრეწვი.

განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს რა რესპუბლიკის ჩარხმშენებლობის ფლაგმანის პრობლემებს, ორატორებმა აღნიშნეს დარგის სხვა საწარმოთა არადამაკმაყოფილებელი მუშაობა, მათ საქმიანობაში დაშვებული დიდი ნაკლოვანებანი და ხარვეზები. კერძოდ, თბილისისა და რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნებისა, რომლებსაც არ აღმოუფხვრიათ ჩარხმშენებლობისათვის უხარისხო სხმულის მიწოდების შემთხვევები. სერიოზულ შეშფოთებას იწვევს თბილისის მ. ი. კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხნის აგრეგატებისა და ხაზების მორალური და ფიზიკური გაცვეთა. სასურველ უკუგებას არ იძლევა ამას წინათ შექმნილი თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ინსტრუმენტი“. აქ ბევრ ფერმებს, ნელა წარმოებს, გაერთიანება საკმარის გავლენას არ ახდენს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე, სრულიად არ უწევს კვალიფიციურ დახმარებას მანქანათმშენებლობის საწარმოებს საინსტრუმენტო ბაზის სრულყოფაში.

აქტივის კრების მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ შექმნილი მდგომარეობის კარდინალური შეცვლისათვის საჭიროა მტკიცე ღონისძიებების განხორციელება, როგორც ეს მოზდა, მაგალითად, თბილისის ჩარხსაშენებელი გაერთიანების სპეციალური საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიუროს მიმართ. ეს ორგანიზაცია განუდგა პრაქტიკაში პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვას. მის მიერ შემუშავებული ჩარხები ვერ აღწევენ მსოფლიო ჩარხმშენებლობის მოწინავე პოზიციებს. და სავსებით ლოგიკურია, რომ ასეთი სპეციალური საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიუროს, რომელიც არ იძლევა სრულფასოვან პროდუქციას, გაიუქმეს.

ამავე დროს მოიყვანეს მაგალითები, როცა საწარმო მარჯვედ და დარაზმულად წყვეტს ადგილზე წამოჭრილ პრობლემებს, ამოქმედებს შინაგან რეზერვებს და ამ საფუძველზე აჩქარებს წარმოების ინტენსიფიკაციის ტემპს. თბილისის საზეიმკლო-სამონტაჟო ინსტრუმენტების ქარხანამ, კერძოდ, შეძლო სწრაფად დაეღწია თავი ჩამორჩენისათვის, წინანდელი პროდუქციის ნაცვლად, რომელზეც არ იყო მოთხოვნა, აითვისა ახალი, შემკვეთების გადიდებული მოთხოვნილებების შესაბამისი პროდუქცია.

ახლანდელი ხუთწლედი დარგს დიდ და პასუხსაგებ ამოცანებს უსახავს. მაგალითად, სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტრომ ერთთორად უნდა მოუმატოს რიცხვული პროგრამული მართვის ჩარხების გამოშვებას, ექვსჯერ გაზარდოს დამამუშავებელი ცენტრების წარმოება, დასახულია აითვისონ ახალ პროგრესულ სახეობათა მოწყობილობა. სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენციას, უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერებას, დარგობრივ სამეცნიერო-კვლევითსა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს დასახული აქვთ კონკრეტული ამოცანა: შეიმუშაონ და დანერგონ წარმოებაში ყველაზე პროგრესული და მაღალტექნიკური გადაწყვეტანი. ასეთი გამოცდილება მეძეხილია, კერძოდ, საქართველოს ე. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. აქ შემუშავებულია ჩარხები და ტექნოლოგიები, რომლებიც უტოლდება, ზოგჯერ კი უსწრებს კიდეც მსოფლიო მეცნიერულ-ტექნიკურ აზრს. მაგრამ ყველამ რიდი მიიღო ცხოვრების საგზური, ზოგიერთი ხშირად უმაღლესი სასწავლებლების კედლებში რჩება. ამიტომაც ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს რესპუბლიკური დარგობრივი საინჟინრო ცენტრის შექმნის აქტუალურობა, მეცნიერთა და პრაქტიკოსთა მიზანმიმართული და შეთანხმებული საქმიანობის მნიშვნელობა.

დარგის მთელ რიგ მწვავე პრობლემებს შორის დაასახელეს აგრარეული შრომითი კოლექტივების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას შორის არსებული დისპროპორცია. წინა პლანზე წამოაყენეს რა დარგის მშრომელთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესების საკითხები, ორატორებმა ისინი დაუკავშირეს საწარმოებში ხელმეშეყობი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის დამყარებას, საბოლოო ანგარიშით კი შრომის უკეთეგების მატებას. ეს განსაკუთრებით საჭიროა, ვინაიდან მომავალი წლიდან დარგი თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე გადადის.

განიხილეს რა ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოების მალალტექნიკური პროდუქციის გამოშვებაზე გადასვლის გზები, პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეებმა მიზანშეწონილად ცნეს შეიძუშაონ და დაამტკიცონ სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მათი შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური განვითარების ერთობლივი გეგმა.

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ვ. ი. ალავიძე, ა. გ. გილაშვილი, ვ. ი. ვარძელაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, გ. გ. გუმბარიძე, ნ. ნ. საჯაია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. დ. მახარაშვილი.

• • •

საქართველოში ყოფნის დროს სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის მინისტრი ნ. ა. პანიჩევი გაეცნო რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ დარგის საწარმოთა შრომითი კოლექტივების მუშაობასა და ცხოვრებას. იგი ეწვია თბილისის ჩარხსაშენებელ საწარმოო გაერთიანებას, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ინსტრუმენტს“, მ. ი. კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხანას, თბილისისა და რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნებს. საწარმოებში მასთან ერთად იყვნენ ამხანაგები ჯ. ი. პატაშვილი, ვ. ი. ალავიძე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. დ. მახარაშვილი.

(საქინფორმი).

აგრომრეწვი: დავაჩქაროთ გარდაქმნა ყველა რგოლში

სადღეისოდ აგროსამრეწველო წარმოების მუშაკებს არა აქვთ იმაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე ახალი სამეურნეო მექანიზმის საფუძვლების ღრმა შესწავლა. დაუცხრომლად უნდა ვიღვაწოთ, რათა ყოველი მექანიზატორი, მემანდრე და მეცხოველე მტკიცედ ეუფლებოდეს ეკონომიკურ ცოდნას, შეეძლოს თავის სამუშაო ადგილზე ამცარებდეს დანახარჯებს, ზრდიდეს შრომის ნაყოფიერებას. განსაკუთრებით მოეთხოვებათ სპეციალისტებსა და ხელმძღვანელებს. მათი ვალია საკუთარ ბაზების ბალანსებით დაეუფლონ მართვის თანამედროვე მეთოდებს, სამეურნეო ანგარიშთა და იჯარით მუშაობის პრინციპებს, ღრმად იცოდნენ და მარჯვედ იყენებდნენ ინტენსიურ ტექნოლოგიებს.

სწორედ ეს საკითხები იდგა საქართველოს სახაგრომრეწვის სიტემის ხელმძღვანელების, სპეციალისტებისა და მასობრივ პროფესიათა მუშაკების — მეურნეობრიობის ახალი ფორმების დანერგვის პრობლემების შემსწავლელთა მორიგი ჯგუფის უყურადღების ცენტრში.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გაიმართა რესპუბლიკის სახაგრომრეწვის კოლეგიის გაფართოებული სხდომა. მასში მონაწილეობდნენ მეურნეობრიობის: ახალი ფორმების დანერგვის პრობლემათა შემსწავლელი სემინარის მსმენელებიც —

პარტიული ცხოვრება:

პრობლემები და განსჯა

ალვზარდოთ ფიზიკურადაც ჯანმრთელი...

ხაკკ XXVII ყრილობამ დღის წესრიგში დააყენა დაჩქარების სტრატეგია და სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში მუშაობის ძირეული გარდაქმნა. სწორედ ამას მიაქცია კიდევ ერთხელ განსაკუთრებული ყურადღება ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა შორეულ აღმოსავლეთში მშრომელებთან შეხვედრის დროს.

ბუნებრივია, მხოლოდ ფიზიკურად ჯანმრთელ, სულიერად მხნე ადამიანებს შეუძლიათ სიიაღლეებზე ფიქრი და წარმოების ურთულესი საკითხების გადაწყვეტა, ამიტომ პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი ძირითადი საზრუნავი მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის სრულყოფა, სპორტის შემდგომი განვითარება. 1965 წლის ივნისში ხკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალური დადგენილება მიიღო სპორტული მუშაობის და სპორტული ნაგებობების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უკანასკნელ წლებში ორჯერ იმსჯელა აქტივის კრებაზე ფიზიკური კულტურისა და სპორტის როლის გაძლიერებასა და მის შემდგომ გაუმჯობესებაზე. ამ საქმის აქტუალურობა განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა ახლა, როცა მტკიცე ბრძოლა გამოეცხადა სოციალისტური ცხოვრებისათვის ისეთ მიუღებელ და საშიშ მოვლენას, როგორიც ლოთობაა.

პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მუშაობას ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი გაუმჯობესებისთვის საფუძველად უდევს ხკკ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებები, ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების და მთავრობის დადგენილებები.

აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: უკანასკნელ სამ წელიწადში ჭიათურასა და მის ზონაში საგრძნობლად იკლო არასრულწლოვანთა დანაშაულობებმა. გასული წლის რვა თვეში კი დანაშაულობანი საერთოდ არ მომხდარა. მიგვაჩნია, რომ ამ დადებით ტენდენციას სხვა ფაქტორებთან ერთად, გარკვეულწილად ხელი შეუწყო ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისადმი

ბრიგადული იჯარის ეფექტი

ბოლნისის რაიონის თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკა წინათ მცირე სიძძლავრისა იყო. მისი საფრინველეები ძლივს იტევდა 25 ათას ფრთა მოქცეულს. მთელი ტექნოლოგიური ციკლი ხელით სრულდებოდა. ამიტომ ვერც პროდუქციის სიუხვით დაიკვეხნიდნენ. გადაწყდა ფაბრიკის რეკონსტრუქცია, ფაქტობრივად აშენდა სრულიად ახალი საწარმო, საამქროებში დაიდგა სამამულო და უცხოური დანადგარები, რომელთა საშუალებით ძირითადი სამუშაოები მანქანებით სრულდება, თითქმის გამორიცხულია ხელის შრომა, მწარმოებლობა კი თექვსმეტჯერ გაიზარდა. ამჟამად ჰყავთ 400 ათასი მოქცეული. ფაბრიკის ძირითადი მიმართულებაა კვერცხის წარმოება, რომელიც შეადგენს მთელი პროდუქციის სამ მეოთხედს, 25 პროცენტი კი ხორცის წარმობაზე მოდის.

რეკონსტრუქციის შემდეგ ფაბრიკის კოლექტივი ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს. მეთერთმეტე ხუთწლედის დავალება ფაბრიკის კოლექტივმა ოთხ წელიწადში შეასრულა. კვერცხის წარმოება ამ პერიოდში გაიზარდა ექვსჯერ, ხოლო ფრინველის ხორცისა — სამჯერ. ხუთწლედში გეგმის გადამეტებით აწარმოეს 58 მილიონი კვერცხი და 2.267 ტონა ხორცი. ზეგეგმითმა მოგებამ 37 მილიონი მანეთი შეადგინა.

ხუთწლედის მანძილზე შრომითმა კოლექტივმა სამჯერ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მოიპოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები, ორჯერ გამოვიდა რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული. გამოზამთრების პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გაზრდისათვის სამჯერ მოიპოვა საკავშირო, ხოლო ორჯერ — რესპუბლიკური დიპლომები, საწარმოს მინაჩებული აქვს კომუნისტური შრომის კოლექტივის სამაპიო სახელი.

— წარმატების ძირითადი პირობა კოლექტიური იჯარაა, — თქვა ფაბრიკის დირექტორმა მ. ლორთქიფანიძემ, — ყველა საწარმოო ბრიგადა, ყველა ქვეგანაყოფი გადავიყვანეთ შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ამ პროგრესულ მეთოდზე, შევადგინეთ მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვის რაციონალური ნორმატივები.

— რას ნიშნავს ყოველივე ეს და რა მოგვცა ამ ახალმა მეთოდმა? ყველა ბრიგადას დავუწესეთ პირდაპირი დანახარჯების ნორმატივები. იგი მიღწეულზე 10-15 პროცენტით ნაკლებია. გაწეული ეკონომიიდან მიღებული თანხის 40 პროცენტი წლის ბოლოს პრემიის სახით ეძლევა ბრიგადის წევრებს. საბოლოო შედეგებით დაინტერესებამ კარგი ნაყოფი გამოიღო. მაგალითად, მეექვსე ბრიგადაში, რომელსაც ახალგაზრდა კომუნისტი კლარა შარლოვა ხელმძღვანელობს, შარშან, პირველ კვარტალში ცენტნერი ფრინველის ხორცის თვითღირებულებამ შეადგინა 307 მანეთი, ხოლო ახალ მეთოდზე გადასვლის შემდეგ, რაც უკვე მეორე კვარტალში მოხდა, იგი შემცირდა 246 მანეთამდე. დაინტერესებამ ხელი შეუწყო იმას, რომ გაუმჯობესდა ფრინველის მოვლა, წესრიგი დამყარდა საკვების ხარჯვაში. მეფრინველეებმა დაზოგეს ელექტრო და თბორესურსები. ყველაფერს მეურნეობრივად მოეკიდნენ და შეამცირეს საწარმოო ხარჯები, რასაც წინათ ყურადღება არ ექცეოდა, რადგან ეს გადვენესას არ ანდენდა მეფრინველის შრომის ანაზღაურებაზე. დაზოგადა თუ გადახარჯავდა თანხებს, მაინც იმდენს მიიღებდა, რამდენიც ტარიფით იყო დადგენილი. ეს ბრიგადა ადრეც მოწინავე ყოფილა, იმავე პირველ კვარტალში 11 ათასი მანეთი დაუზოგავს, მაგრამ ახალ მეთოდზე გადასვლის შემდეგ კვარტალში დაზოგა უკვე 91 ათასი მანეთი, რომლის დიდი ნაწილი მთის შრომის ანაზღაურებას მოხმარდა. ბრიგადის წევრთა ხელფასი საშუალოდ 25 პროცენტით გაიზარდა და თვეში 300 მანეთს აღემატება. ასევეა სხვა ბრიგადებში. გარდა ამისა, პრემიებისა და მატერიალური წახალისების სახით ერთ წელიწადში გაიცა 90 ათასი მანეთი. ყოველივე ამის გამო შრომა სახალისო გახდა. აქ აღარ სჭირდებათ მეფრინველე ოპერატორების ძებნა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ქალიშვილები და ჯაბუკები მოდიან პროფტექნიკურ სასწავლებელში, რომელიც ფაბრიკასთან არსებობს. მეფრინველის შრომა, საერთოდ, გაუტოლდა ინჟინერ-ტექნიკოსის შრომას, რადგან ისინი სამართავ პულტებთან დგანან, ოპერაციებს კი მანქანები ასრულებენ.

ამ სიახლეთა შედეგია ისიც, რომ მკვეთრად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება. მაგალითად, ყოველი ათასი კვერცხის წარმოება გეგმასთან შედარებით 6 მანეთით გააიაფეს და 64 მანეთი უჯდებათ, ცენტნერი ქათმის ხორცის თვითღირებულება კი გეგმასთან შედარებით 8 მანეთით შემცირდა. ამ მაჩვენებლების მიხედვით საწარმო რესპუბლიკის ასეთ საწარმოთა შორის პირველ ადგილზეა.

წარმატების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად დირექტორმა დაგვისახელა აგრეთვე სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება. ფაბრიკის ხელმძღვანელობა დღენიადაგ ზრუნავს მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. საწარმოო კორპუსების გვერდით გაჩნდა მეფრინველეთა დასახლება, სადაც აგებულია მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები. ყველა მუშა-მოსამსახურის ოჯახი დაკმაყოფილებულია ელექტრონული ყინულმოწყობილი ბინით. სამავშო ბაღა-ბაღში ნორჩი აღსაზრდელებისათვის ნორმალური პირობებია შექმნილი. მათ ფაბრიკის ხარჯზე უფასოდ კვებავენ. შრომის შემდეგ ნაჯაფი ადამიანები ისვენებენ და ეწირგიას აღიდგენენ თავიანთ კულტურის სახლში, სადაც მხატვრული წრეები აქვთ. მეფრინველეთა განკარგულებაშია ისეთი კინოთეატრი, რომ დიდ ქალაქსაც კი შეშურდება. დაბაში არის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, სამედიცინო ამბულატორია, აფთიაქი, ქართული რვაწლიანი სკოლა, სამავშო ბაღა-ბაღი... აქ ქალაქური ყოფა დამკვიდრდა.

ბოლნისელ მეფრინველეებს ინტერნაციონალური კოლ ე ქ ტ ი ვ ი აქვთ. მრავალი ერიგვნების წარმომადგენლები — ქართველები, ბერძნები, აზერბაიჯანელები, რუსები, ლეკები, ოსები და სხვანი ენერგიულად იღვწიან პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელებისათვის. კოლექტივის ავანგარდში არიან ფაბრიკის კომუნისტები გულიკო ჯავახიშვილი, მარიამ პოპანდოპულო, კლარა შარლოვა, ნადია მუმლაძე და სხვები, რომელთა კალენდარზე ახლა მეთორმეტე ხუთწლედის მეორე წელი იწერება. კოლექტივს უნარიანად უძღვება ენერგიული სპეციალისტი მ. ლორთქიფანიძე, რომელიც საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატი იყო და ყრილობაზე სიტყვითაც გამოვიდა. მან აღიარა ყრილობას, რომ უფრო მეტი უკუგებით, დიდნაყოფიერად იმუშავებენ და ღირსეულ წვლილს შეიტანენ სოციალისტური სამშობლოს ძლიერებაში, რასაც ახლა საქმით ახორციელებენ.

წარმატებით არის დაძლეული ხუთწლედის პირველი წლის მიჯნა. მკითხველს ბევრი ციფრით თავს არ შევაწყენთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ საგეგმო 1.271 ათასი მანეთის ნაცვლად ფაბრიკამ სამეურნეო წელი 1.700 ათას მანეთზე მეტი მოგებით დაამთავრა.

თამარისელთა წარმატებები გაცილებით შთამბეჭდავი იქნებოდა, რამდენიმე ხელშემშლელი გარემოება რომ არა. ეს, უწინარეს ყოვლისა, კომბინირებული საკვების ნარისხს შეეხება. პურპროდუქტების სამინისტროს საწარმოებიდან მიღებული საკვები ზოგჯერ ვერ აკმაყოფილებს მეცხოველურად დაბუთებულ ნორმებს და ფრინველს გაწყობმასაც კი იწვევს. მეტად გართულებულია საკვები ორგანიზაციებთან ურთიერთობა. ზოგიერთი მათი მუშაკის უნაათობის გამო ძნელდება პროდუქციის რეალიზაცია, რის გამოც ირღვევა ტექნოლოგიური პროცესები და უარესდება პროდუქციის ხარისხი.

ფაბრიკის კოლექტივი ყველაფერს ღონობს, რათა განამტკიცოს მოპოვებული წარმატებები, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისთვის შეასრულოს ხუთწლედის ორი წლის დავალება.

ბ. დავითაძე.

ბოგბი ბეროზაშვილი მაღალი თანრიგის ხარატია. ოც წელზე მეტია იგი თბილისის საინსტრუმენტო ქარხანაში მუშაობს, ზედმიწევნით არის დაუფლებული თავის პროფესიას, სამართლიანად ითვლება საწარმოს წამყვან სპეციალისტად. ახალგაზრდა მუშები, რომლებიც მხოლოდ ახლა იწყებენ თავიანთ შრომითს ბიოგრაფიას, ხალისით მიდიან მასთან მოწაფეებად, სწავლობენ მის ოსტატობას, საქმისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას.

ბოგი ბეროზაშვილმა საწარმოში ერთ-ერთმა პირველმა უპატაკა ხამშობლოს 1986 წლის დავალების ვადამდე შესრულება და ვალდებულება იკისრა ხუთწლედის ორი წლის გეგმა დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის შეასრულოს.

სურათზე: მეექვსე თანრიგის ხარატი, ახალგაზრდობის დამრიგებელი ბოგი ბეროზაშვილი გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდა მუშას გიორგი გოგიჩაიშვილს.

ი. შალამოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

...ᲓᲠᲝ ᲒᲕᲘᲙᲐᲠᲜᲐᲮᲔᲑᲡ ᲪᲕᲔᲚᲘ

ᲑᲐᲠᲨᲐᲜᲓᲔᲚᲘ **წელი მუშაობის მოძველებული ფორმებისა და მეთოდების მხხვრივის, მეურნეობრიობის ისეთი ახალი მექანიზმის შექმნის წელი იყო, რომელიც უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის განვითარების დაჩქარებას პარტიის XXVII ყრილობის, ხკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებები რომ მოითხოვს. წელს უნდა უზრუნველყოფილ გარდაქმნის დაჩქარება, დავძლიოთ ახალი მიჯნები, — ეს იყო რესპუბლიკის მინისტრთა სახმაროს გამართული სელექტორული თათბირის მთავარი აზრი, რომელზეც შეაჯამეს შარშანდელი შედეგები და დასახეს 1987 წლის საგეგმო დავალებათა რეალიზაციის უზრუნველყოფის ღონისძიებანი.**

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ პარტიული, სახმაროს და სამეურნეო ორგანიზაციების, სამინისტროების, უწყებებისა და დიდი საწარმოების ხელმძღვანელები.

თათბირს უძღვებოდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. ე. ჩერქეზიანი.

ინფორმაცია გააკეთა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ო. გ. ვარძელაშვილმა.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ვ. ნიკოლსკი.

სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა შარშან შესრულდა 101,4 პროცენტით, რეალიზაციისა — 100,9 პროცენტით, აღინიშნა თათბირზე. გეგმის გადაჭარბებით წარმოებულია 147 მილიონი მანეთის პროდუქცია, რეალიზებულია 90,4 მილიონი მანეთისა. სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპმა შეადგინა 4,6 პროცენტი, დავალებით კი გათვალისწინებული იყო 4,2 პროცენტი. შრომის ნაყოფიერების გეგმა შესრულებულია 102,1 პროცენტით.

მაგრამ დადებითი შედეგები თვითდამშვიდების საბაბს როდი იძლევა. ისინი მიღწეულია დაბალი შრომისა და დიდი ძალისხმევის ფასად. მაგრამ ყოველივე რაც კარგ იყო, გუშინ, დღეს, როცა ქვეყნის სახალხო მეურნეობაში ძირეული გარდაქმნა მიმდინარეობს, როცა დრო ახალ ტემპს გვიკარნახებს, უკვე აღარ არის საკმარისი.

გარდაქმნას რესპუბლიკაში ჯერჯერობით არ შეუძენია საჭირო დინამიზმი, იგი ნელა მიმდინარეობს. ბევრი საბჭოთა და სამეურნეო ორგანო ვერ იჩენს სათანადო სიმტკიცეს, ინიციატივასა და პასუხისმგებლობას მუშაობაში, ორმად ვერ სწვდება პრობლემების არსს, ეძებს იოლ, ზერელე მიდგომას მათი გადაწყვეტისადმი, ცდილობს დაფაროს, რომ უნარი არ შესწევს ან არ სურს გარდაიქმნას, და ამიტომ ძველს ემღაუჭება.

ადგილობრივი და რესპუბლიკური დონის ზოგიერთი ხელმძღვანელის ინერტულობის, არასამარისი მომთხოვნელობის პირდაპირი შედეგი გახდა სახელშეკრულებო დისციპლინის არსებითი გაუარესება, ნაზგასმით აღინიშნა თათბირზე. 167 საწარმომ და გაერთიანებამ ვერ შეასრულა დადგენილი დავალებანი ამ მნიშვნელოვანი მაჩვენებლის მიხედვით. მომხმარებლებს დააკლო 194 მილიონი მანეთის პროდუქცია. სერიოზული ჩამორჩენა აქვთ, როგორც წინათ, თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის საწარმოებს.

უწინდებურად ყველაზე მწვავე პრობლემაა პროდუქციის, განსაკუთრებით სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხი. იგი პრაქტიკულად არ გაუმჯობესებულა. წლიური დავალება ამ მაჩვენებლის მიხედვითაც ჩაიშალა. ახალი წლის პირველმა დეკადამ სავალალო სურათი გამოავლინა: რესპუბლიკის მეტ-წილ საწარმოებში, სადაც შემოღებულია სახელმწიფო მიღება, მნიშვნელოვანი როდენობის პროდუქცია ან დააბრუნეს დასამუშავებლად, ან საერთოდ არ მიიღეს. ასეთ საწარმოთა შორისაა თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარბმშენებელი“, ქარხანა „მიკროძრავა“, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, ავეჯის კომბინატი, რუსთავის ამწესაშენებელი ქარხანა და სხვები.

მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო თათბირმა წარმოების ინტენსიფიკაციის დარგში ძირეული გარდაქმნის საკითხებს. ვერ შევურიგდებით ისეთ მოვლენას, თქვეს მისმა მონაწილეებმა, როგორიც არის მოწყობილობის პარკის არასრული გამოყენება, მაგალითად, თბილისის მანქანათსაშენებელ საწარმოებში მეორე ცვლაში მუშაობს მოწყობილობის მხოლოდ 44 პროცენტი, ხოლო მესამე ცვლაში მხოლოდ... 12 ერთეული. ასეთივე სავალალო სურათია სოფლის, ბათუმის, ქუთაისისა და რუსთავის საწარმოებში.

თათბირზე განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს მთელ რიგ დარგებსა და საწარმოებში საგეგმო დისციპლინის დარღვევას.

თათბირზე ტრადიციულად გაანალიზეს აგროსამრეწველო კომპლექსის, მშენებლობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების კოლექტივების საქმიანობაც. აღინიშნა, რომ 1986 წელს ვერ შეასრულეს ყურადღება, მზესუმზირას, სოიის შესაყიდვის გეგმა. გამოზამთრებისათვის ცუდი მომზადებას გამო ბევრ რაიონში მნიშვნელოვნად შემცირდა პირუტყვის პროდუქტიულობა, 39 რაიონმა შეამცირა ხორცის წარმოება, 20-მა — რძისა, 15 რაიონმა — კვერცხისა.

ძირეულ გაუმჯობესებას საჭიროებს მშენებლობა მუშაობა.

შარშან დიდი შეფერხებებით მუშაობდა ამერკავკასიის რკინიგზა. განსაკუთრებით ცუდად არის საქმე რკინიგზის ვაგონების გამოყენებასთან დაკავშირებით. მარტო დეკემბერში დროულად ვერ განტვირთეს 5 ათასზე მეტი ვაგონი. მდგომარეობა არც იანვარში უმჯობესდება. ყველაზე ცუდი მდგომარეობაა ბათუმში, ცხინვალში, ტყვარჩელში, სამტრედიის, ბორჯომისა და გორის რაიონებში, სახაგრომრეწველო, ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის სახმთავარსენერგოს, ცეკავშირის საწარმოებსა და ორგანიზაციებში. ცუდად არის ორგანიზებული ღამით განტვირთვა, მთელ რიგ რაიონებში კი იგი საერთოდ არ ხორციელდება.

მძიმე მდგომარეობა შეიქმნა რესპუბლიკაში საქონელბრუნვის გეგმების შესრულებასთან დაკავშირებით. ზესტაფონის, ლანჩხუთის საგარეჯოს, კასპის, წითელწყაროს, წულუკიძისა და ახმეტის რაიონებში მან 1985 წლის დონესაც კი ვერ მიაღწია.

თათბირმა მოითხოვა, რომ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებმა მთელი ძალონე მოახმარონ მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გარდაქმნის დაჩქარებას, შრომითს კოლექტივებში შემოქმედებითი შრომის, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის ატმოსფეროს შექმნას, რათა წლის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები უთუოდ შესრულდეს. (საქინფორმი).

თვითდამშვიდების საფუძველი არ არის

ზრმბის, საწარმოო და ტექნოლოგიური დისციპლინის მტკიცედ დაცვა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია, ხაზგასმით აღინიშნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქალაქ ცხინვალის ხელმძღვანელი კადრების პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომელზეც განიხილეს წარმოებაში დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცების, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად პასუხისმგებლობის გაძლიერების საკითხი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. ს. სანაკოევმა თავის მოხსენებაში, აგრეთვე კამათის მონაწილე ამხანაგებმა გააანალიზეს რეგიონში შექმნილი მდგომარეობა, გამოავლინეს შრომის დაცვაში არსებულ ნაკლოვანებათა მიზეზები და დასახეს მათი აღმოფხვრის გზები.

ოლქში გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, უსაფრთხოების ტექნიკის დანერგვისათვის, ავარიებისა და ხანძრების პროფილაქტიკისათვის და ა. შ. კერძოდ, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე. 167 საწარმომ და გაერთიანებამ ვერ შეასრულა დადგენილი დავალებანი ამ მნიშვნელოვანი მაჩვენებლის მიხედვით. მომხმარებლებს დააკლო 194 მილიონი მანეთის პროდუქცია. სერიოზული ჩამორჩენა აქვთ, როგორც წინათ, თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის საწარმოებს.

ᲗᲕᲘᲗᲓᲐᲛᲨᲕᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ

საზღვრის დაცვა კომკავშირული საზრუნავია

უშრს ამხანაგებთან — კომუნისტებთან ერთად ამიერკავკასიის წითელდროშოვანი საზღვრო ოლქის კომკავშირელები ფხიზლად დგანან სამშობლოს სამხრეთი მიჯნების სადარაჯოზე. ამ მისიის დიდი პასუხისმგებლობა ერთხელ კიდევ აღინიშნა ოლქის ჯარების XII კამკავშირულ კონფერენციაზე, რომელიც თბილისში გაიმართა.

ჯარის ნაწილების კომკავშირულმა და პოლიტიკურმა მუშაკებმა, საგუშაგოების, სასაზღვრო სადარაჯო ხომალდების, საკონტროლო-გამშვები პუნქტებისა და სასაზღვრო ოლქის ქვეგანაყოფების ალკკ კომიტეტების მდივნებმა იმსჯელეს, თუ როგორ მიმდინარეობს ოლქის ჯარების კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებისა და საკავშირო ალკკ XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრის ამოცანის შესაბამისად ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მოხსენება გააკეთა ამერკავკასიის სასაზღვრო ოლქის პოლიტიკური განყოფილების უფროსის თანაშემწემ კომკავშირული მუშაობის დარგში კაპიტანმა ა. შაიკინმა.

მოხსენება გააკეთა ამერკავკასიწელეობდნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. მარგველიძე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის პოლიტიკური განყოფილების უფროსი გენერალ-მაიორი გ. კუცი, სსრ კავშირის საზელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების პოლიტიკური სამმართველოს პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების უფროსი, საბჭოთა კავშირის გმირი პოლკოვნიკი ვ. ბუბენნინი და საზღვრის მეომრები.

განიხილეს რა სახელმწიფო საზღვრის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების აქტუალური საკითხები, კონფერენციის მონაწილეებმა ისინი დაუკავშირეს კომკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობის ძირეულ გარდაქმნას. დღეს უნდა ჩამოვაყალიბოთ და დავამკვიდროთ ახალი, უფრო ფართო შეხედულება ახალგაზრდობის ადგილზე ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო ამოცანების გადაწყვეტაში. კომკავშირელებს ბევრი რამ შეუძლიათ, მაგრამ მათ ბევრიც მოეთხოვებათ, ხაზგასმით აღინიშნეს გამოსულმა ამხანაგებმა.

კონფერენციაზე მადლობა უძღვნეს ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და კრასნოდარის მხარის კომკავშირულ ორგანიზაციებს, რომლებიც დიდ დახმარებას უწევენ მწვანეკუდიან მეომრებს სახელმწიფო საზღვრის დაცვაში, დაასახელეს მათი მუშაობის კონკრეტული მაგალითები.

განხილული საკითხის გამო კონფერენციამ მიიღო დადგენილება.

ᲕᲐᲒᲝᲜᲔᲑᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲪᲓᲔᲑᲐ...

ზამრის სიცივეს კვლავ კორექტივები შეაქვს რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობაში. ამ დღეებში არ ნელდება დაძაბულობა საბარგო შემადგენლობათა გადმოტვირთვასთან დაკავშირებით. სახალხო-სამეურნეო ტვირთით სავსე ოცზე მეტი ვაგონი დაგროვდა ბორჯომისა და ჩაქვის მისასვლელ გზებზე. ბათუმში კი მათმა რიცხვმა 70-ს გადააჭარბა. ჯერ კიდევ ცუდ მდგომარეობაში აყენებენ ტრანსპორტის მუშაკებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, სახაგრომრეწველო, ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის, ცეკავშირის საწარმოები. სულ რესპუბლიკაში 11 იანვრის მონაცემებით გადმოსატვირთია 174 ვაგონი.

სითბო და სინათლე განსაკუთრებით ფასობს

რესპუბლიკის მთის რაიონებში დიდთოვლობით, ყინვებით, ნამქერით მოგვეევლინა იანვარი. ყაზბეგის, დუშეთის, მესტიის, ცაგერის, სხვა რაიონებში შექმნილი ძნელი ვითარება რთულ და პასუხსაგებ ამოცანებს აყენებს სათბობისა და ენერგიის მწარმოებლების წინაშე. განსაკუთრებით ბევრი რამ არის დამოკიდებული ახლა საქმთავარენერგოს კოლექტივის შეთანხმებულ, ზუსტ მუშაობაზე, აღინიშნა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების წარმოებისა და მოხმარების პროცესების მართვის საკითხთა გადაწყვეტის ოპერატიული ჯგუფის თათბირზე, რომელიც გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

სტიქიის მიერ მიყენებული ზარალი მნიშვნელოვანია. თოვლის ზვავებმა მთებში ზოგან დაანგრია ელექტრომგადამცემი ხაზების საყრდენები. ნამქერით დაიფარა გზები. ქართველ ენერგეტიკოსებს არაერთხელ დაუმტკიცებიათ, რომ შეუძლიათ მუშაობა ექსტრემალურ სიტუაციებში.

ამჯერადაც მათ მაქსიმალური ინიციატივა და ოსტატობა უნდა გამოიჩინონ, რათა შემჭიდროებულ ვადებში აღადგინონ დაზარალებული რაიონების ენერგომომარაგება.

სტიქიისაგან, რა თქმა უნდა, არავინ არ არის დაზღვეული. მაგრამ მარტო ბუნებას როდი მიუძღვის ბრალი იმაში, რომ ახლა სითბო ყველგან არ არის. ზამთრისათვის ცუდ მომზადებას მოწმობს, მაგალითად, ის ფაქტი, რომ ზუგდიდში ათას ხუთასი ბინიდან ორასს საერთოდ არ ათობობენ, 1200 კი საკმარისად არ თბება, და მცხოვრებნი იძულებული არიან გამოიყენონ ელექტროსახურებელი ხელსაწყოები. სათანადოდ არ მომზადებულან სიცივისათვის მარნეულისა და თეთრი წყაროს რაიონებშიც. მაგალითად, მარნეულის რაიონულ საავადმყოფოს არა აქვს სარეზერვო სათბობი. არ არის საქმაბე და ამიტომ არ თბება ამერკავკასიის რკინიგზის საცხოვრებელი სახლი თეთრ წყაროში.

ოპერატიულმა ჯგუფმა შეიმუშავა სტიქიის შედეგების უსწრაფესი ლიკვიდაციის ღონისძიებანი, დაავალა პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელებს უახლოეს დროში გამოასწორონ ზამთრისათვის მზადებაში გამოვლენილი ნაკლოვანებანი. (საქინფორმი).

„ᲖᲔᲛᲝ ᲐᲕᲭᲐᲚᲐᲡᲗᲐᲜ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲛᲭᲙᲘᲕᲐᲠᲖᲔ ᲰᲘᲓᲠᲝᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲓᲔᲙᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ, ᲛᲘᲩᲜᲔᲣᲚ ᲘᲥᲜᲔᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ-ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲛᲬᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲓ“.

(სსრ კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1988 წლის 16 იანვრის დადგენილებიდან).

რესპუბლიკის თეთრი მზე

ისტორიის სტრიქონს მიღმა

განახლებული შეხვდა თავის 60 წლისთავს რესპუბლიკის უძველესი ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური. ამიერკავკასიის ერთიან ენერგოსისტემას შეემატა დენი, რომელიც გამოიმუშავეს რეკონსტრუქციის შემდეგ მწყობრში ჩამდგარმა მისმა ყველაზე მძლავრმა ჰიდროაგრეგატმა. ამიერიდან იგი ყოველწლიურად მოგვცემს უწინდელზე სამი მილიონი კილოვატსაათით მეტს.

ეს ჰიდროელექტროსადგური, რომელიც ვ. ი. ლენინის სახელობისაა, ქვეყნის ელექტრიფიკაციის დიდი პროგრამის — გოელროს საერთო ენერგეტიკული სიმძლავრის მხოლოდ მცირე ნაწილია.

საქინფორმის კორესპონდენტი შეხვდა ზოგიერთ იმათგანს, ვინც სხვადასხვა დროს შრომობდა ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასა და ექსპლოატაციაზე. აი, რას გვიამბობს, მაგალითად, საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანი, ინჟინერი პ. ქუმსიაშვილი, რომელიც დღემდე საქმთავარენერგოს სისტემაში მუშაობს:

— იმ წლებში ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ზაჰესი პირველობას დაუთმობდა უფრო მძლავრ ერთ-ერთი პირმშოა. ეოლხოვის ჰიდროელექტროსადგურის აშენების შემდეგ, 1927 წელს საეკსპლოატაციოდ გადაცემულმა ჰიდროელექტროსადგურმა დასაბამი მისცა საბჭოთა საქართველოს ენერგეტიკის განვითარებას.

სადგურის თავდაპირველი სიმძლავრე 12 ათასი კილოვატი იყო, და ექვსი ათწლეულის წინათ ეს ციფრი გრანდიოზული ჩანდა. ამჟამად მისი სიმძლავრე 42 ათასი კილოვატია, რაც რესპუბლიკის ნაგებობებს. სინამდვილემ კი ყველაზე გაბედულ ვარაუდს გადააჭარბა — უნიკალური გახდა ენგურჰესი, რომელსაც ქვეყანაში ყველაზე მაღალი თაღოვანი კაშხალი აქვს. მისი სიმძლავრე 1.300 ათასი კილოვატია, 50-ჯერ მეტი, ვიდრე ზაჰესს ჰქონდა. ენგურჰესი, ენინგალის ჰ

ვეხოვითი
ფაქტები • მოვლენები

ორიოდ სიტყვით

„**პარტიის** XXVII ყრილობა სოციალისტური კანონიერების შემდგომი „განმტკიცების შესახებ“ — ეს იყო თემა ექვიციების ციკლისა, რომელიც საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ და საზოგადოება „ცოდნის“ თერჯოლის რაიონულმა განყოფილებამ მოაწყვეს.

რაიონის კომეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო საწარმოთა მშრომელების წინაშე საინტერესო ექვიციებითა და მოხსენებებით გამოვიდნენ რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი ა. შუშანაშვილი, მისი პირველი მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ზ. რატიანი, საზოგადოება „ცოდნის“ თერჯოლის რაიონული განყოფილების თავმჯდომარე დ. სარაჯიძე და სხვები.

„**ახალი** საავადმყოფო გადაეცა საექსპლუატაციოდ ჭიათურის ზონის სოფელ ნიგოზეთში. მას აქვს თერაპიის, ქირურგიის, პედიატრიის, სტომატოლოგიისა და სხვა განყოფილებები.

საავადმყოფოს მთავარ ექიმად მიიწვიეს ამ სოფლის მკვიდრი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი ა. ბარათაშვილი.

„**ქუთაისში** მოეწყო ამ ქალაქის მკვიდრ მხატვართა ნაწარმოებების გამოფენა, რომელზეც ასზე მეტი გრაფიკული, სკულპტურული და ფერწერული ნაწარმოებია წარმოდგენილი. მათი მთავარი თემაა რესპუბლიკის დღევანდელი აღმშენებლობა, მშვიდობა და ხალხთა მეგობრობა.

„**სამხრეთ** ოსეთის ავტონომიური ოქრის მეღიკოსებს მუშაობაში დიდად ეხმარება ცხინვალის საოლქო საავადმყოფოს კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორია. იგი ექიმის პრაქტიკულად ნებისმიერ მოთხოვნას აკმაყოფილებს ბიოქიმიური, იმუნოლოგიური და სხვა გამოკვლევების დარგში.

ერთი წლის მანძილზე ლაბორატორიის თანამშრომლებმა განახორციელეს დიდძალი ლაბორატორიული გამოკვლევა, დაეხმარნენ ექიმებს არა მარტო დაავადებების გამოვლენაში, არამედ ზოგჯერ მათი თავიდან აკილებისათვის ეფექტიანი ღონისძიებებიც შესთავაზეს.

„**ლენი** ლე იზრდება და ღამაზდება ტყიბულის ზონის სოფელი საწირე. მასწავლებელთა დასასვენებელმა სეზონერმა სანატორიუმმა, ორსართულიანმა ოდა-სახლებმა, მწვანე ნარგავებმა და ფართო ქუჩებმა სოფელს სახე უვალლეს. ახლახან აქ ახალი, 140-ადგილიანი ბაგა-ბაღიც გაიხსნა. იგი საწარმოო გაერთიანება „საქნახშირმა“ ააშენა.

„**ზესტაფონში** მდინარე ყვირილის მარჯხენა სანაპიროზე აღადგინეს ძველი საკოლეურნეო ბაზარი. მისი მთელი კომპლექსი იმერული სტილისაა (არქიტექტორი — ი. ჭანკვეტაძე).

ბაზარში ხიდ-ბოსტნეულ უ ღ ს, რძის პროდუქტებს თავ-თავისი ადგილი აქვს გამოყოფილი. ვაღაკა ხაღხური რეწვის ოსტატთა ნახელავი — ყოდრები, კაღათები, გობები, კერამიკა. გახსნილია საზაფხეო კაფე და ავტოსადგომი.

„**უკვე** მეორე წელია საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების კავშირის პრეზიდიუმი უშვებს მასაღების კრებულს „მონადირე და მეთევზე“, რომელიც წელიწადში ორჯერ გამოდის. ამჟამად მკითხველებმა მიიღეს კრებულის ახალი ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია დ. ბოკუჩავას, მ. დემეტრაშვილის, აღ. არაბულის, ჯ. მეხრიშვილის, გ. გოჩიტაშვილის, ვ. აღბუთაშვილის, ღ. ბოძაშვილის, ქ. მარსაგიშვილის, ო. მურვანიძის, რ. ბეჭარაშვილის, მ. კაღანდაძის და სხვათა საინტერესო წერილები და ინფორმაციები ჩვენი ფლორის, ფაუნის და გარემო ბუნების აქტუალურ საკითხებზე.

სასარგებლო შეხვედრა

დღეს, ასე შეიძლება ეწოდოს იმ სამდღიან სემინარს, რომელიც ბორის სახალხო კონტროლის საღალაქო კომიტეტმა შტატგარეშე ექტივისა და სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეებისათვის მოაწყო.

სემინარის მსვლელობისას ერთმანეთს ენაცვლებოდა საუბრები საკონტროლო მუშაობის საკვანძო პრობლემებზე, გამოცდილების ურთიერთგაზიარება, კულტურულ-მასობრივი ღონისძიებები, სპორტული შეჯიბრებები.

სემინარის მონაწილეებმა იმსჯელეს სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანებზე, შემოწმების მოწყობის ფორმებსა და მეთოდებზე, სხვა მაკონტროლებელ ორგანოებთან ურთიერთკავშირის, სახელმწიფო გეგმებისა და სახელმწიფო ვალდებულებების მსრულების, სოციალისტური საუთრების დაცვის, წამატებებისა და თვალის ანგვების, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობის გაკეთილებების კონკრეტულ საკითხებზე.

ძირითად მეცადინეობებთან ერთად გაიმართა ჯგუფების თავმჯდომარეთა დარგობრივი სემინარები, მოეწყო გამოცდილების ურთიერთგაზიარება, საქმიანი თამაშები.

სემინარის მონაწილეებმა ნახეს საკონტროლო მუშაობისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმები.

მრავალფეროვანი იყო კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებათა და სპორტულ შეჯიბრებათა პროგრამაც.

12 იანვარი, 1987 წ.

უბირთვო მსოფლიოსათვის

მშვიდობის იდეალების ერთგულება

მხარს უჭერენ განიარაღების საბჭოთა პროგრამას

ნიუ-იორკი. „მშვიდობის იდეალებისადმი ჭეშმარიტი ერთგულების დადასტურება“ უწოდა მ. ს. გორბაჩოვის წერილს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი სადმი პერეს დე კუელიარისადმი ამერიკის საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ბანგრძლივი მშვიდობისათვის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ბოვარდ ფრეიზერმა.

შარშან საბჭოთა კავშირმა გაბედული ნაბიჯები გადადგა ბირთვული ომის საფრთხის აღმოსაფხვრელად, „აკობრიობას რომ ემუქრება, თქვა მან საკრესის კორესპონდენტთან საუბარში. მათ შორის პირველი ადგილი უკავია უბირთვო მსოფლიოს შექმნის და მიმდინარე საუკუნის დამლევისათვის მასობრივი განადგურების ყველა სახის იარაღის მოსპობის პროგრამას. „ეს ნამდვილად დიდებული პროგრამაა. სიტყვები არ მყოფნის გამოვხატო. აღტაცება და პატივისცემა საბჭოთა კავშირისადმი“, ხაზგასმით აღნიშნა ბოვარდ ფრეიზერმა. დასანანია, რომ შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ თავის მხრივ არ განახორციელა ღონისძიებები, რომლებიც შეესატყვისება უბირთვულიარაღო და უომო მსოფლიოსათვის ხალხთა ბრძოლას ინტერესებს, და უარს ამბობს შეუერთდეს საბჭოთა კავშირის მიერ ცალმხრივად გამოცხადებულ ბირთვული აფეთქებების მორატორიუმს, დასძინა ამერიკელმა საზოგადო მოღვაწემ.

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის „რუდე პრავო“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის იაროს ყველა მიმართულებით გამალებული შეიარაღების შეზღუდვისა და შეწყვეტისათვის რეალური ღონისძიებების განხორციელების გზაზე. გაზეთი წერს, რომ საბჭოთა ქვეყნის მიერ მშვიდობის საერთაშორისო წელს გადადგმულ ნაბიჯებს ნათელი მიზანი აქვთ — შეანელონ საერთაშორისო დაძაბულობა, განამტკიცონ საყოველთაო მშვიდობა.

დელი. ინდური პეტრიოტი“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ და თანმიმდევრულად უჭერს მხარს ბირთვული იარაღის არსებულების მოსპობას არა იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს თავისი უპირატესობა ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების სფეროში, როგორც ამას დასავლეთში ამტკიცებენ. საბჭოთა კავშირმა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებმა, აღნიშნავს გაზეთი, წამოაყენეს ევროპაში, ატლანტიკიდან ურალამდე, შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების კომპლექსური და არსებითი შემცირების წინადადება. ახლა საჭიროა, რომ ნატოს ქვეყნები დათანხმდნენ ამ წინადადების კონკრეტულად განხილვას.

დუბლინი. წინადადება მიმდინარე საუკუნის დამლევამდე ყველა ბირთვული შეიარაღების ლიკვიდაციის შესახებ, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა წამოაყენა 1986 წლის 15 იანვრის განცხადებაში, განიარაღებისათვის ბრძოლის მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ამერიკის შეერთებული შტატები უგულურად მოიქცა, როცა მას არ გასცა პოზიტიური პასუხი. ეს განაცხადა საკრესის „ორესპონდენტებისათვის მიცემულ ინტერვიუში ირლანდიის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ, ირლანდიის ბირთვული განიარაღებისათვის მოძრაობის პრეზიდენტმა, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა შონ მაკბრაიდმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მ. ს. გორბაჩოვის განცხადებაში ჩამოყალიბებულმა ღონისძიებათა კომპლექსმა ფართო საერთაშორისო აღიარება პოვა.

შ. მაკბრაიდმა დაგმო კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის გეგმები, ამასთან აღნიშნა, რომ მათ განხორციელებას შეიძლება კატასტროფული შედეგები მოჰყვეს. „მიმაჩნია, — თქვა მან, — რომ უკვე არსებული ბირთვული შეიარაღება საკმაოდ საშიშია. კოსმოსური დამკვრელი სისტემები კიდევ უფრო საშიში და დამანგრეველი იქნება“.

უბირთვო მსოფლიოსათვის

მშვიდობის იდეალების ერთგულება

მხარს უჭერენ განიარაღების საბჭოთა პროგრამას

ნიუ-იორკი. „მშვიდობის იდეალებისადმი ჭეშმარიტი ერთგულების დადასტურება“ უწოდა მ. ს. გორბაჩოვის წერილს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი სადმი პერეს დე კუელიარისადმი ამერიკის საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ბანგრძლივი მშვიდობისათვის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ბოვარდ ფრეიზერმა.

შარშან საბჭოთა კავშირმა გაბედული ნაბიჯები გადადგა ბირთვული ომის საფრთხის აღმოსაფხვრელად, „აკობრიობას რომ ემუქრება, თქვა მან საკრესის კორესპონდენტთან საუბარში. მათ შორის პირველი ადგილი უკავია უბირთვო მსოფლიოს შექმნის და მიმდინარე საუკუნის დამლევისათვის მასობრივი განადგურების ყველა სახის იარაღის მოსპობის პროგრამას. „ეს ნამდვილად დიდებული პროგრამაა. სიტყვები არ მყოფნის გამოვხატო. აღტაცება და პატივისცემა საბჭოთა კავშირისადმი“, ხაზგასმით აღნიშნა ბოვარდ ფრეიზერმა. დასანანია, რომ შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ თავის მხრივ არ განახორციელა ღონისძიებები, რომლებიც შეესაბამება „ბანგრძლივი მშვიდობისათვის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ბოვარდ ფრეიზერმა.

შარშან საბჭოთა კავშირმა გაბედული ნაბიჯები გადადგა ბირთვული ომის საფრთხის აღმოსაფხვრელად, „აკობრიობას რომ ემუქრება, თქვა მან საკრესის კორესპონდენტთან საუბარში. მათ შორის პირველი ადგილი უკავია უბირთვო მსოფლიოს შექმნის და მიმდინარე საუკუნის დამლევისათვის მასობრივი განადგურების ყველა სახის იარაღის მოსპობის პროგრამას. „ეს ნამდვილად დიდებული პროგრამაა. სიტყვები არ მყოფნის გამოვხატო. აღტაცება და პატივისცემა საბჭოთა კავშირისადმი“, ხაზგასმით აღნიშნა ბოვარდ ფრეიზერმა. დასანანია, რომ შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ თავის მხრივ არ განახორციელა ღონისძიებები, რომლებიც შეესაბამება „ბანგრძლივი მშვიდობისათვის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ბოვარდ ფრეიზერმა.

დანაშაულებრივი თანამშრომლობა

ფულცმა დაადასტურა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების კურსი

ნაირობი. ვაშინგტონი განაგრძობს „კონსტრუქციულ თანამშრომლობას“ აპარტეიდის რეჟიმთან. ეს დაადასტურა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯორჯ შულცმა კენიის დედაქალაქში გამართულ პრესკონფერენციაზე.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული გეზი, განაცხადა მან, „ვლავ უწინდებურია. როგორც ცნობილია, სწორედ ვაშინგტონი უბიძგებს რასისტებს მიმართონ ტეროროს სამხრეთ აფრიკის შავკანიანი უმრავლესობის წინააღმდეგ, მხარს უჭერს „ფრონტლინპირა სახელმწიფოების“ წინააღმდეგ აპარტეიდის რეჟიმის აგრესიულ გამოხდომებს.

სახელმწიფო მდივანმა განაცხადა აგრეთვე, რომ ადმინისტრაცია არ აპირებს უარი თქვას ანგოლისსაწინააღმდეგო კონტრრევოლუციური დაჯგუფების უნტას მხარდაჭერაზე. ამ ტეროროსტულ-ორგანიზაციის წევრებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპეცსამსახურები იყენებენ ანგოლაში ვითარების დესტაბილიზაციისათვის.

წინათ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელი, რომელიც პირველად მოგზაურობს აფრიკაში საჰარის სამხრეთით, ყოველნაირად უწევდა რეკლამას თავისუფალი მეწარმეობის პოლიტიკას. სენეგალის დედაქალაქ დაკარში თავის ერთ-ერთ გამოსვლაში მან უბოდიშოდ მოითხოვა, რომ აფრიკის სახელმწიფოებმა უარი თქვან განვითარების არაკაპიტალისტურ გზაზე. ამასთან შულცმა განაცხადა: იმაზე, თუ რამდენად იქნება მზად ესა თუ ის სახელმწიფო, რომ დათანხმდეს ვაშინგტონის მოთხოვნებს, დამოკიდებული იქნება ამერიკის შეერთებული შტატების „დახმარება“.

შრომა და კაპიტალი

მასობრივი გაფიცვები

პარიზი. გაფიცულ ფრანგ მშრომელებზე უარეესდენტო ზემოქმედების მიუხედავად, მთელ ქვეყანაში გრძელდება მასობრივი გაფიცვები.

სერიოზული შეფერხებებით მუშაობს პარიზის საზოგადოებრივი ტრანსპორტი. მისი მუშაები მოითხოვენ რეალური ხელფასის შენარჩუნებას, დასაქმების გარანტიას. საგრძნობლად შემცირდა მოძრაობა პარიზის მეტროში, რამდენიმე ხაზი საერთოდ დაკეტილია. მაგრამ დირექცია უარს ამბობს მშრომელთა მოთხოვნების არსებით განხილვაზე. შრომის საყოველთაო კონფედერაციის მოწოდებით ბრძოლას განაგრძობენ ენერგეტიკოსები. ფართოვდება მაღაროელთა გაფიცვა — მუშაობა შეწყვიტა ქვანახშირის სამმა შახტმა ნორ-პა-დე-კალეს ოლქში.

საგაფიცვო ბრძოლაში მშრომელთა სულ ახალი კატეგორიები ებმებიან.

● შრი-ლანკა

დაძაბულობა ჩრდილოეთში

კოლომბო. კვლავ დაძაბული ვითარებაა შრი-ლანკის ჩრდილოეთ პროვინციაში. ექსტრემისტული ორგანიზაცია „თამილ ილამის“ განთავისუფლების ვეფხვები“ დაეფინებით ცდილობს თავის კონტროლს დაუქვემდებაროს ადმინისტრაციული მართვის ადგილობრივი ორგანოები. ქალაქ ჯაფნაში ტეროროსტები სატელევიზიო ცენტრის ხელში ჩაგდებას შეეცადნენ. უშიშროების ძალების მოქმედების შედეგად ეს ოპერაცია ჩაიფუშა. გაზეთი „აილენდი“ წერს, რომ სროლის დროს მოკლეს ზუთი კაცი.

ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში შექმნილი რთული სიტუაცია განიხილეს პარლამენტის სხდომაზე. ეთნიკური პრობლემა სამხედრო მეთოდებით ვერ გადაიჭრება, განაცხადა პარლამენტში შრი-ლანკის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების მინისტრმა ლ. ატულატმუდალიმ. მთავრობა, თქვა მან, კვლავინდებურად იღვწის ეთნიკური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგებისათვის.

პარლამენტის დეპუტატმა შრილანკის კომპარტიისაგან დ. ე. ვ. გუნასეკერამ თქვა, რომ „თამილ ილამის“ განთავისუფლების ვეფხვები“ დაინტერესებული არ არიან მოლაპარაკებით და სეპარატული სახელმწიფოს შექმნას ლამობენ.

ბანაშრომლობა

ბულგარეთ-ინდოეთ-ეგვიპტე-ტანზანია-ზიმბაბვე-ეთიოპია-ზამბია-ალჟირ-ანგოლა-ბენინ-ბურკინა ფასო-ბურუნდი-ბელორუსი-ბრაზილია-ბენგალეთ-ვენესუელა-ვიეტნამ-ზაირ-ზამბია-ინდონეზია-ირანი-ირლანდია-ისლანდია-ესპანეთ-ეგვიპტე-ეთიოპია-ეკვადორ-ეკონომიკა-ეროვნული-ეფექტიანობა-ეფექტიანობა-ეფექტიანობა

ვაჟკაცობა სტიქიის წინააღმდეგ

ჯერ კიდევ ახალ წლამდე კავკასიონის მთავარი ქედის თავზე მძიმე ღრუბელი ჩამოწვა. ისეთი თოვა დაიწყო, გეგონებოდა, არც გადაიღებსო ასეთი დიდთოვლობა საქართველოს მთის რაიონების ყველაზე უხნეს მკვიდრთაც კი არ ახსოვთ, ხოლო სინოპტიკოსები ამტკიცებენენ, ასეთი რამ ჩვენს რესპუბლიკაში ნახევარ საუკუნეზე მეტია არ ყოფილაო. ცალკეულ ადგილებში თოვლის საფარის სისქე ხუთ მეტრს აღემატება. სტიქიის ბობოქრობა გრძელდება.

გაავდრების სიგნალის მოსვლისთანავე შეიქმნა მთავრობის კომისია. პარტიის რაიკომებთან ჩამოყალიბდა ოპერატიული შტაბები, სტიქიის შემოტევისათვის წინააღმდგომის სამუშაოებში ჩაიბნენ უწყება-სამინისტროები. სტიქიური უბედურების რაიონში იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. ვილაშვილი, საქართველოს სსრ ჯინსტროის საბჭოს თავმჯდომარე ო. ე. ჩერქეზიანი, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები.

სტიქიის შემოტევის ძალა ყველაზე მეტად განიცადეს მესტიისა და ლენტეხის რაიონებმა.

ადგილებზე ჩასული საქინფორმის კორესპონდენტები გვატყობინებენ:

მესტიის რაიონში მიმავალი ყველა გზა თოვლით არის დაფარული. მესტიამდე მისვლა მხოლოდ ვერტმფრინავებით შეიძლებოდა. სწორედ ვერტმფრინავების პილოტებმა გაკვალეს პირველი სამაშველო ტრასები დაზარალებულებისაკენ, ჩაუტანეს მათ სურსათ-სანოვაგე მედიკამენტები. ბევრი უბედურება მოიტანა თოვლის ზვავებმა. მაგალითად, სოფლებში ჟამუშში, უძგულსა და ბარისახოში ზვავმა დაანგრია საცხოვრებელი შენობები, დაიზიანა ელექტროგადამცემი ხაზები, მოსწყვიტა დასახლებული პუნქტები გარე სამყაროს. საბუხაროდ, მას მსხვერპლიც მოჰყოლია. სადღეისოდ არსებული მონაცემების თანახმად, მესტიის რაიონში დაიღუპა 26 კაცი, თითო მსხვერპლია ლენტეხის, ცხინვალისა და დუშეთის რაიონებში. საძიებო-მაშველი სამუშაოები გრძელდება.

სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე რისკი ამ დღეებში ნორმად იქცა ყველასათვის, ვინც დაზარალებულთა დასახმარებლად გაეშურა. მოხალისენი, რომლებიც რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქიდან და რაიონიდან ჩამოვიდნენ, საკმარისზე მეტი აღმოჩნდნენ. მაგრამ, რა თქმა უნდა, სტიქიის წინააღმდეგ საბრძოლველად პირველნი აღდგნენ ადგილობრივი მცხოვრებნი. ბევრმა მათგანმა ნამდვილი ვაჟკაცობა გამოიჩინა. მაგალითად, ვლადიმერ ბაჩაშვილი და ვლადიმერ სუხიშვილი სხვა მესტიელ მექანიზატორებთან ერთად რამდენიმე დღის განმავლობაში არ გამოსულან თავიანთი ბულდოზერების კაბინებიდან და განუწყვეტლივ წმენდნენ თოვლის ხერგილებს, სანამ დახმარება მოუსწრებდა. მაგრამ ესეც ძალზე გაძნელდა: ნამქერებმა, რომელთა სისქე მრავალ მეტრს შეადგენდა, გზა გადაუღობა მაშველ ტექნიკას. და მაშველთა რაზმებმა მხოლოდ უდიდესი ძალისხმევის ფასად გაიღწიეს მესტიელებამდე...

უბედურების ზონაში ერთ-ერთი პირველნი ჩავიდნენ ამიერკავკასიელი მეომრები, რომლებიც ძმურად ეხმარებოდნენ ადგილობრივ მკვიდრთ. მათ ავდარს დაუპირისპირეს მხედრული გაწვრთნილობა, თავდადება და მნიშვნელოვანწილად შეამციერეს სტიქიის დარტყმების შედეგები: მეომრები წმენდენ ჩახერგილ გზებს, თოვლიდან ამოჰყავდათ ზვავში მოყოლილი ადამიანები, აღადგენდნენ კავშირგაბმულობას.

სამ კვირაზე მეტხანს გასტანა ბარდნამ ლენტეხის რაიონში. აქ თოვლის საბურვლის სისქემ 3,5 მეტრს მიაღწია. თოვლქვეშ აღმოჩნდა მრავალი საცხოვრებელი სახლი, მეცხოველეობის ფერმა, სხვა ნაგებობანი. მაგალითად, თოვლის ზვავებმა ორი საცხოვრებელი სახლი დაანგრია სოფელ ქვეიერში. შეწყდა მოძრაობა ლენტეხ-ცაგერის ტრასაზე, მრავალი სოფელი რაიცენტრს მოწყვეტილი აღმოჩნდა. დატვირთვას ვერ გაუძლეს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემმა ხაზებმა, რომლებიც ბევრგან მწყობრიდან გამოვიდა.

— ჯერჯერობით ძნელი გამოსაანგარიშებელია მოყენებული ზარალი, — თქვა ლენტეხის რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ შ. ლიპარტელიანმა, — მაგრამ ერთი რამ ცხადია: იგი გვარიანი იქნება. რაიონის მშრომელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ერთსულოვნად აღდგნენ სტიქიის წინააღმდეგ საბრძოლველად. კერძოდ, ჩამოყალიბდა მოთხილამურეთა სპეციალური რაზმი, რომელმაც პროფუქტები, მედიკამენტები, უპირველესი საჭიროების საქონელი ჩაუტანა თოვლის ტყვეობაში მოხვედრილ დასახლებული პუნქტების მცხოვრებთ, მეცხოველეობის ფერმებს.

ამავამად ხორციელდება ყველა ღონისძიება ჰაერშრგაბმულობისა და ელექტროგადამცემი ხაზების აღსადგენად. ეს სამუშაოები დროულად გაჩაღდეს კავშირგაბმულობის სამინისტრომ და საქმთავარენერგომ. დაჩქარებული ტემპით წმენდენ ტრასებს საავტომობილო გზათა სამინისტროს კოლექტივები.

დიდთოვლობამ არც ცაგერის რაიონს დააყარა სიკეთე: აქ თოვლქვეშ აღმოჩნდა საინჟინრო ნაგებობანი, დროებით შეწყდა კავშირი ცალკეულ მეურნეობებთან.

რაიონის მოსახლეობამ სტიქიას დაუპირისპირა სიმტკიცე და ორგანიზებულობა. უკვე სამი იანვრისათვის ძირითადი ტრასა ქუთაისი-ცაგერი მთლიანად იყო გაწმენდილი თოვლის ხერგილისაგან და აღარ დაკეტილა. ამან შესაძლებელი გახადა დროულად ჩამოსულიყო თოვლსაწმენდი ტექნიკა, სურსათ-სანოვაგითა და საწვავით დატვირთული ავტომობილები.

... თბილისის სკოლების მეოთხეკლასელები გიორგი ბურუხა და არჩილ ნიკოლაიშვილი დღეს სკოლაში დროზე გამოცხადდნენ, არ დაუგვიანიათ. ამისათვის ქართველ ავიატორებს დიდი ვაჟკაცობის გამოჩენა და მთელი თავიანთი გამოცდილების მაქსიმალური გამოყენება მოუხდათ. მათ ეს თბილისელი მოწაფეები და კიდევ ასობით მოსწავლე ჩამოიყვანეს გუდაურიდან, სადაც ბავშვები ზამთრის არდადეგებზე ისვენებდნენ.

თოვა მოულოდნელად დაატყდა თავს გუდაურს. ერთ დღე-ღამეში თოვლის საბურვლის სიმაღლემ ოთხ მეტრს მიაღწია. კურორტი გუდაური, სადაც ხუთასზე მეტი კაცი ისვენებდა, გარე სამყაროს მოწყვეტილი აღმოჩნდა.

საქართველოს სამხედრო გზის 50-კილომეტრიან მონაკვეთზე მყისვე დაიძრნენ ნისლსა და ზვავებში ბულდოზერები, გრეიდერები, თოვლსაწმენდი მანქანები. მხოლოდ მესამე დღეს გამოიდარა იმდენად, რომ ავიაცია ცაში ასულიყო. საქართველოს სამოქალაქო აციაციის სამმართველოს სამი ეკიპაჟი შეუსვენებლივ მუშაობდა დილის 8 საათიდან გვიან საღამომდე. ბავშვებმა, ისინი კი უმრავლესობას შეადგენდნენ, ვერც კი გაიგეს, რომ დიდები რამდენიმე დღეს უპაუროდ იყვნენ. დილით გზა გაიხსნა და უკვე შეძლეს გასვლა გუდაურში შერჩენილმა ავტომანქანების მფლობელებმა.

— პირველივე დღეს, რაგორც კი მოვიდა ცნობა სტიქიური უბედურების შესახებ — თქვა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, მთავრობის კომისიის წევრმა ზ. ა. ჩხეიძემ, — დაბა ფასანაურში მოეწყო ხრახნფრთიანი მანქანების ასაფრენი მოედანი. მაგრამ გამოდარების იმედს ამინდი არ გვიტოვებდა. ამიტომ სრული სვლით მიმდინარეობდა სამუშაოები საავტომობილო გზაზეც, სადაც ყველაზე თანამედროვე თოვლსაწმენდი ტექნიკა გავიყვანეთ. მობილიზებული იყო ას ორმოცდაათზე მეტი ყველანაირი, ათობით ავტობუსი.

მაგრამ წინ კიდევ ბევრი სამუშაოა. უნდა გაიკვალოს გზები ოცდაათზე მეტ ხეობაში განლაგებული სოფლებისაკენ.

როკის ავტოსაგზაო გვირაბის მშენებელთა დასახლებაში დიდთოვლობის გამო, რომელმაც ოთხმეტრიანი ფენით დაფარა დედამიწა, გარე სამყაროს მოწყვეტილი აღმოჩნდა გვირაბის მომსახურე პერსონალის 30-ზე მეტი მუშაკი. მათთან ერთად იყვნენ ბავშვებიც. მოულოდნელად შეწყდა ელექტროენერგიის, სითბოს მიწოდება, გაწყდა კავშირი, რამაც ექსტრემალური სიტუაცია შექმნა.

— სასწრაფოდ ამოგვიდგნენ მხარში სოფელ როკის მცხოვრებნი,— თქვა გვირაბის უფროსმა ვაჟა ბასიშვილმა. — მათ შემოგვაშველეს სურსათ-სანოვაგე, დაგვათბუნებინეს შენობები, სადაც უწინარესად ბავშვები დავაბინავეთ. დარწმუნებული ვიყავით, რომ გასაჭირიდან დაგვიხსნიდნენ.

სულ რამდენიმე საათში, ცნობის მიღებისთანავე, რესპუბლიკის საავტომობილო გზათა სამინისტროს № 4 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის თითქმის მთელი ტექნიკა მათ დასახმარებლად იქნა გადმოყვანილი. თოვლის ჩამოზვავების საფრთხის მიუხედავად ავტოგზელებმა, რომელსაც № 4 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის უფროსი მიხეილ პარასტაევი ხელმძღვანელობდა, დაბაში გააღწიეს. და გამოიხსნეს გასაჭირში დავარდნილი ადამიანები.

ტრაგედია დატრიალდა ცხინვალის რაიონის მაღალი მთის სოფლის გუდისის მახლობლად, სადაც გაიყინა შინ მიმავალი თხუთმეტი წლის ჭაბუკი. ვერტმფრინავით მისი გამოყვანის ყველა ცდა ამაო გამოდგა, ვერც მაშველებმა მოახერხეს მისვლა.

მიღებული ზომების, მეომართა დახმარების წყალობით სამხრეთ ოსეთის სოფლებს შორის კავშირი და ელექტროენერგიის მიწოდება არ შეწყვეტილა. დაშორებულ დასახლებულ პუნქტებში ვერტმფრინავებს ჩაქვთ სურსათ-სანოვაგე, მედიკამენტები.

კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე ასეთი უჩვეულო დიდთოვლობა საქართველოს ჰიდრომეტეოცენტრის უფროსის მოადგილემ ჯ. დოლიძემ ახსნა ამინდის იშვიათი სიტუაციით, რომელიც საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის ვრცელი რაიონების თავზე შეიქმნა. აქ ჩამოყალიბდა უჩვეულოდ მძლავრი ნაკლებმოძრავი ანტიციკლონი. მან გამოიწვია ჰაერის ძლიერი გაცივება, გადაუკეტა კავკასიონსაკენ მიმავალი გზა ციკლონებს, რომლებიც ატლანტიკის თავზე წარმოიშობა ხოლმე. ჰაერის შედარებით თბილი და ჭარბტენიანი ნაკადები საქართველოში სამხრეთ-დასავლეთიდან შემოიჭრა. გზაზე მათ გადაეღობა კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთი ფერდობები. სწორედ აქ მოხდა ჰაერის თბილი და ცივი მასების შეხვედრა. ასე დაიწყო ძლიერი თოვა.

როგორც სინოპტიკოსები მოწმობენ, კავკასიონის მთებში უახლოეს დღეებში შეიძლება განმეორდეს თოვლის მძლავრი შემოტევები. მაგრამ ადამიანები ამისათვის მზად არიან. (საქინფორმი).

* * *

სურათებზე: ვერტმფრინავები მოვიდნენ დასახმარებლად; ასეთი თოვლი არ ახსოვს გუდაურს.

ბ. კიკვიძის ფოტო.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ექსპედიცია გაისად დაიწყება

საგარეჯო კავშირ-ბულგარეთის მეორე კოსმოსური ფრენისათვის მოსამზადებლად 10 იანვარს მოსკოვში ჩამოვიდნენ ბულგარეთის წარმომადგენლები ალექსანდრე ალექსანდროვი და კრასიმირ სტოიანოვი. რამდენიმე დღის შემდეგ ისინი შეუდგებიან მეცადინეობასა და წვრთნას ი. ა. გაგარინის სახელობის კოსმონავტთა მომზადების ცენტრში.

ალექსანდროვი ალექსანდროვი ახალმეგზავრად როდია კოსმონავტიკაში. იგი ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის კოსმოსური კვლევის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა.

კრასიმირ სტოიანოვი კი უნდა დაეუფლოს ახალ სპეციალობას. მაგრამ მასაც მყარი საფუძველი აქვს ამისათვის: სამხედრო-საპაერო ძალების 27 წლის უფროსი ლეიტენანტი სტოიანოვი გამოცდილი მფრინავია.

რამდენიმე დღის შემდეგ, თქვა სსრ კავშირის მთავარკომანდოსის ხალხთა ურთიერთობის განყოფილების უფროსმა ს. ბოგომოლოვმა, ბულგარელი კოსმონავტები შეუდგებიან მეცადინეობას და წვრთნას ი. ა. გაგარინის სახელობის კოსმონავტთა მომზადების ცენტრში. საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ექსპედიციის სტარტი დანიშნულია 1988 წლისათვის. უნდა აღვნიშნო, რომ ვარსკვლავეთა ქალაქში პირველად იმზადება ერთდროული ფრენისათვის სამი საერთაშორისო ეკიპაჟი.

ვ. ხრუსტოვი,
საკადესის კორ.

ქომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09,
პასუხისმგებელ მდივნის — 99-72-80,
სამდივნოს — 99-66-10,
განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსიზმ-ულენინური თეორიის პროპაგანდის — 99-95-20, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ფელეტონის — 93-22-93, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მოწამლულთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-23-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები

სოხუმი — 2-40-19; **ბათუმი** — 3-41-69; **ცხინვალი** 2-22-52; **ქუთაისი** — 5-26-36; **რუსთავი** — 14-27-87; **გორი** — 2-33-10; **ახალციხე** — 2-03-15; **ზუგდიდი** — 2-28-40; **მახარაძე** — 6-34-44; **ზესტაფონი** — 5-56-36; **თელავი** — 3-12-09; **ყითელწყარო** — 23-66; **ტყიბული** — 25-82.

მიწისქვეშა საუკუნეები

შეხვედრა ძველი ფელთაღრიცხვის მესამე საუკუნესთან

თითები ფაქიზად შეეხო ბრინჯაოს ფილის ზედაპირს. მზის სხივებზე აკიაფდა უცხო ასოების მოხატულობა. საუკუნის სიღრმეებიდან მოღწეული ამბის წაკითხვას მოჰკიდა ხელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა თინათინ აუხუჩიშვილმა.

— ხშირად მიწევს გათხრებზე ყოფნა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ა. ქიქოძეს თ. აუხუჩიშვილმა. — რესპუბლიკის ტერიტორიაზე პირველად როდი პოულობენ ძველბერძნული წარწერების ფრაგმენტებს. არც არის გასაკვირი — საქართველოს ხომ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ანტიკურ სამყაროსთან. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაწილეთა მიერ ნაპოვნი ბრინჯაოს სტელას ფრაგმენტი უნიკალური ძეგლია. თუ ისტორიული ანალოგიების, ლინგვისტური და ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე ვიმსჯელებთ, იგი, ჩემი აზრით, ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეს უნდა განეკუთვნებოდეს. დღემდე ჩვენში ნაპოვნია მხოლოდ ერთი ასეთი ძველი ფილა, რომელზეც ტექსტია წარწერილი. იგი ეშერში აღმოჩინეს.

...ორ მომცრო ოთახში დიდი ადგილი წიგნებს უკავია. მასიური ჩუქურთმიან კარადებში თავმოყრილია არა მარტო მუშაობისათვის საჭირო ლიტერატურა, არამედ მამის — გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის სიმონ აუხუჩიშვილის შრომები, მეუღლის, ცნობილი გერმანისტის ოთარ ჯინორიას თარგმანები და მეცნიერული გამოკვლევები, საკუთარი წიგნები. დიასახლისისათვის თვალსაჩინო ქართველი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი კარგად ნაცნობი ადამიანები არიან, რომლებიც თავს იყრიდნენ მამის სტუმართმოყვარე სახლში, საუბრობდნენ და კამათობდნენ. ესენი იყვნენ სიმონ ჯანაშია, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, პავლე ინგოროყვა და სხვები. ასეთმა გარემომ თავისი როლი შეასრულა პროფესიის არჩევაშიც. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ასპირანტურის დამთავრების შემდეგ თ. აუხუჩიშვილმა ხელი მოჰკიდა ძველბერძნულის შესწავლას, დაინტერესდა საქართველო-საბერძნეთის ურთიერთობით, საქართველოში ნაპოვნ არქეოლოგიურ ძეგლებზე ძველბერძნული წარწერების გამოკვლევით. ამ საკითხებს უძღვნა მან საკანდიდატო, შემდეგ კი სადოქტორო დისერტაციაც.

— ძველი საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის აუცილებელია ბერძნული წყაროების ცნობები, — თქვა შემდეგ თ. აუხუჩიშვილმა. — მაგალითად, ვანში ნაპოვნი წარწერის ფრაგმენტი საკანონმდებლო ტექსტია, რომელიც ავალებს ტაძრის მსახურთ მისდონ გარკვეულ კანონებს. დიდი ღმერთებისადმი მიმართვა კი ერთხელ კიდევ ადასტურებს ცნობებს, რომ ძველ საქართველოში არსებობდა ღმერთების ძირითადი ტრიადა — დედამიწა, მზე და მთვარე. გარდა ამისა, მასში ზუსტდება ვანის ძველი დასახლება—სური. ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მხარის ძველი ისტორიის შემდგომი შესწავლისათვის.

...საწერ მაგიდაზე ხელნაწერი და ნაბეჭდი ფურცლები. მეცნიერის ქალამს ეკუთვნის ცამეტი ფუნდამენტური წიგნი, მრავალი სამეცნიერო სტატია. ახლა იგი მუშაობს კორპუსზე „ბერძნული წარწერები საქართველოში“. 1990 წლამდე უნდა გამოვიდეს ამ ფუძემდებელი ნაშრომის ორი ტომი. მას საფუძვლად უდევს საქართველოში არსებული ბერძნული წარწერების ერთიანი სრული კრებული, რომელიც თ. აუხუჩიშვილმა შეადგინა, და ახალი არქეოლოგიური მონაცემები. ამას წინათ მეცნიერმა დაამთავრა მეექვსე ტომი სერიოსათვის „ბერძენ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ“. გატაცებით კითხულობს ძველბერძნულ ისტორიულ პროზას. სხვათა შორის, „ისტორიის მამის“ ჰეროდოტეს ორი ტომი მეცნიერმა ქართულ ენაზე თარგმნა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მეცნიერული მოღვაწეობის გარდა თ. აუხუჩიშვილი პედაგოგიურ მუშაობასაც ეწევა და იგი არანაკლებ მნიშვნელოვნად მიიჩნევა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის განყოფილებაზე მეცნიერი კითხულობს ბერძნული წყაროთმცოდნეობის კურსს, კვლევითს მუშაობას აზიარებს მომავალ სპეციალისტებს.

მეცნიერი დღენიადაგ მოუცლელია, მაგრამ მაინც პოულობს დროს, რომ დაესწროს საინტერესო ვერნისაჟს. პრემიერას, წაიკითხოს ბელეტრისტიკა. ტელეფონის ზარი საუბარს გვაწყვეტინებს. ქალბატონ თინათინს სითბო უდგება მკაცრ თვალებში და ჩვენ ვხედებით, რომ მეგობრები ურეკავენ, ისინი, ურომლისოდაც „ჩემი ცხოვრება გაცილებით ღარიბი იქნებოდა“, დასძენს იგი გამოთხოვებისას.

გულიანად იმხიარულეს

მხიარულმა დღესასწაულმა კვლავ შეკრიბა წყნეთის ბავშვთა სახლის პატარები საახალწლო ნაძვისხესთან, რათა გასცხობოდნენ ამ დაბაში დასასვენებლად ჩამოსულ თბილისელ ბალღებს. სამასზე მეტმა ბავშვმა ფეიერხელი გაიჩაღა წყნეთის ერთ-ერთი პანსიონატის დარბაზში.

ჯუჯების, კურდღლებისა და ტყის სხვა ნადირ-ცხოველების კოსტიუმებში გამოწყობილი ყმაწვილები გახდნენ პერსონაჟები საყვარელი საახალწლო ზღაპრებისა, რომლებიც მოქმედებდნენ თოვლის დედოფალი, მწვითური, უზარმაზარ-პორფლებიანი მელა ალისა, კლოუნები. და, რა თქმა უნდა, თოვლის პაპა — დიდი და ძლიერი, ვარცლისფერი ვარსკვლავებით მორთული წითელ ჯუბაში გამოწყობილი. ყველას უნდოდა მის მხრებზე ჯდომა, და ამიტომ ხან ნინიკო, ხან სოფიკო, ხან მაია სთხოვდნენ ხელში აყვანას. ხუთი წლის მიშიკოს, ბეკასა და ვასიკოს კი უფრო ერჩიათ ერთბაშად სამივე ჩამოჰკიდებოდნენ მას.

დღესასწაული გახშობამდე გაგრძელდა, რომელზეც ცეკვა-ხტომითა და მხიარულებით დაღლილმა ყმაწვილებმა მადიანად მიირთვეს ყველა კერძი.

ბავშვთა სახლის აღსაზრდელთა საახალწლო სუფრას ამშვენებდა ყველაზე გემრიელი და საახალწლო ტკბილეული და ხილი: ნუგა და თაფლი, მარმელადი, მანდარინი და ამიტომ ბავშვებმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს შეფებს — რესპუბლიკის საშნე მასალათა, მრეწველობის სამინისტროს თანამშრომლებს, რომლებიც მათთვის ნიადაგ ზრუნავენ. (საქინფორმი).

თბილისის ჟურნალისტთა საქალაქო კონფერენციის დელეგატებს საყურადღებოდ

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ბიურო იუწყება, რომ **მომდინარე წლის 17 იანვარს გაიმართება თბილისის ჟურნალისტთა საქალაქო ორგანიზაციის IX კონფერენცია.**

კონფერენცია გაიხსნება 11 საათზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სხდომათა დარბაზში (ლენინის ქუჩა, 14).

დელეგატთა რეგისტრაცია დაიწყება დილის 9 საათიდან.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ბიურო.

ოთხიდან ერთი ზედმეტია

ოთხი მატჩიც და, კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრე დამთავრდება და საბოლოოდ გაირკვევა საუკეთესო ექვსეულში მოხვედრილთა ვინაობა. გასულ შაბათს ტალინში ითამაშეს ცსკაძ და ლენინგრადის „სპარტაკმა“. ლენინგრადელებმა ეს შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 81:73 და პირველ ექვსეულში დამკვიდრების ერთგვარი შანსი გაუჩნდათ. თუმცა, ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ დარჩენილ მატჩებში ვინ იმარჯვებს. თბილისელებს, რომლებსაც 2 შეხვედრა აქვთ გასამართავი დონეცკში ადგილობრივ „შახტიორთან“ და მოსკოვის „დინამოსთან“, ერთი მატჩი მაინც უნდა მოიგონ, თუ სურთ, რომ შედლებისათვის ბრძოლის უფლება მოიპოვონ. „შახტიორი“ თბილისელთა გარდა ეთამაშება მოსკოვის „დინამოს“. როგორც ჩანს, ექვსეულში დასამკვიდრებლად დონეცკელებს ერთი მატჩის მოგება არ ეყოფათ და ცხადია, ჭულათა მაქსიმუმის დაგროვებისათვის იბრძოლებს. მოსკოვის დინამოელებმა ექვსეულში მოხვედრის შანსი დაკარგეს, რადგან სამივე მატჩიც რომ მოიგონ (ოთხ შორის „ცალგირისთანაც“), 33 ქულას დააგროვებენ და მაინც პირველი ექვსეულის მიღმა დარჩებიან.

დღეისათვის საუკეთესო ექვსეულში ადგილები უკვე უზრუნველყოფილი აქვთ ცსკას — 38 ქულა (22 მატჩიდან; მეორე წრე დაამთავრა, „ცალგირისს“ — 36 (21 მატჩიდან) და რიგის ვეფს — 35 (22-დან). დანარჩენ სამ საგზურზე პრეტენზია 4 გუნდს აქვს: კიევის არმიელთა გუნდს და „სპარტაკს“ — 34-34 ქულა (22-22-დან), თბილისის „დინამოს“ — 32 (20-დან) და „შახტიორს“ — 31 (20-დან). როგორც ხედავთ, ამ ოთხეულიდან ერთ-ერთი ექვსეულში ვერ მოხვდება და ამდენად ბოლო მატჩებში ერთობ დაძაბული ბრძოლა გაჩაღდება.

ნავარაუდევია, რომ თბილისელებმა თავიანთი ბოლო ორი მატჩი დონეცკში 17 და 18 იანვარს უნდა გაართონ.

ს. დევიძე.

უძლიერესთა შვიდეულში

სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაციამ 1986 წლის სეზონის შედეგების მიხედვით დაამტკიცა ქვეყნის საუკეთესო ჩოგბურთელთა საკლასიფიკაციო სიები (142 ქალისა და 158 ვაჟის). ქალთა შორის პირველ ნომრად წარმოდგენილია ლვოველი ლ. სავჩენკო. მეორედ — მინსკელი ნ. ზვერევა, მესამედ — მოსკოველი ს. პარხომენკო. ვაჟებში პირველი ნომერია მოსკოველი ა. ჩესნოკოვი, მეორეა მოსკოველი ა. ზვერევი, მესამეა — კიეველი ა. დოლგოპოლოვი. ქალთა შორის უძლიერესთა შორის მეშვიდე ნომერი მიაკუთვნეს თბილისელ **ლეილა მესხს.**

სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. ლენინგრადში გრძელდება ფიფას ვიცე-პრეზიდენტის ვ. გრანატკინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭაბუკ ფეხბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება. მესამე ტურში ასეთი შედეგები აღინიშნა: სსრ კავშირი I-სსრ კავშირი II — 2:0, ჩეხოსლოვაკია-გდრ — 3:1, შვეცია-საფრანგეთი — 2:1. სამი ტურის შემდეგ სსრ კავშირის პირველ ნაკრებს 6 ქულა აქვს, მეორე ნაკრებს — 4. ფრანგებს 3 ქულა აქვთ, შვედებსა და ჩეხოსლოვაკიელებს — 2-2, გდრ-ს ფეხბურთელებს — 1 ქულა. ბოლო ორი ტურის მატჩების განრიგი ასეთია: **18 იანვარი.** სსრ კავშირი II — საფრანგეთი, შვეცია — გდრ, ჩეხოსლოვაკია, — სსრ კავშირი I; **15 იანვარი.** შვეცია — ჩეხოსლოვაკია, გდრ — სსრ კავშირი II, სსრ კავშირი I — საფრანგეთი.

ფიგურული ციგურაობა. ვილნიუსში საკავშირო ჩემპიონატის მედლების ბოლო ორი კომპლექტიც გათამაშდა: საცეკვაო წყვილებს შორის ოქროს მედლებს დაეუფლნენ ნატალია ბესტემიანოვა და ანდრია ბუკინი. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ნატალია ანენკო და გენრიხ სრეტენსკი, მესამეზე — მაია უსოვა და ალექსანდრე ჟულინი (სამივე წყვილი — მოსკოვი). ერთეულთა შორის უძლიერესი იყო ანა კონდრაშოვა. მეორე ადგილი წილად ხვდა კირა ივანოვას (ორივე — მოსკოვი), მესამე — ნატალია სკრაბნევსკაია (მოსკოვის ოლქი).

ბიათლონი. ბოროვეცში (ბულგარეთი) მიმდინარე მსოფლიო თასის გათამაშებაზე სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა მოიგო ესტაფეტა 4X7,5 კილომეტრზე რბოლაში (1:25,41). მეორე ადგილზე გამოვიდა სსრ კავშირის მეორე ნაკრები (1:26,28), მესამეზე — ჩეხოსლოვაკიელთა კოლექტივი (1:31,15).

ბადრაკი. რეჯო-ემილიაში (იტალია) დამთავრებულ ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე 6,5 ქულით (11 შესაძლებლიდან) პირველი ადგილი დაიკავა უნგრელმა დიდოსტატმა ზოლტან რიბლიმ. მეორე-მეოთხე ადგილები გაინაწილა სამმა მოჭადრაკემ, რომელთა შორის არის მსოფლიო ექს-ჩემპიონი ვასილ სპასოვი (6 ქულა).

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

მოსკოვი

18 იანვარი

პირველი პროგრამა. 8.00 — დილის ვარჯიში. 8.10 — მულტფილმები. 8.20 — მუსიკალური სერიალები. 8.30 — „ვრემია“. 9.00 — ამკარა — დაუჯერებელი. 10.05 — მხატვრული ტელეფილმი „და მგზავრმა უკან მოიხედა...“ 11.15 — კონცერტი. 11.35 და 17.00 — ახალი ამბები. 17.15 — „საეკვეკო რიტმები“. 17.55 — კინოჟურნალი „შორეული ალმოსავლეთი“. 18.05 — ახალი ამბები. 18.15 — რელიგია და პოლიტიკა. ისლამი თანამედროვე მსოფლიოში. 19.00 — — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა საკავშირო კონკურსის განსმა. 19.30 — დოკუმენტური ფილმი „ქალაქი“. 20.30 — მხატვრული ტელეფილმი, „ვ. ი. ლენინის პორტრეტის შტრიხები“. I ფილმი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ფილმ-კონცერტი „ა. ს. პუშკინის ლირიკა“. 23.15 — ფლეს მსოფლიოში. 23.30 — „ეპატაჟეთათ ოპერეტა“.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.35 და 10.35 — ისტორია. X კლასი. 10.05 და 14.45 — ფრანგული ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ა. მ. გორკი — „ფსკერზე“. 11.35 და 12.40 — ბოტანიკა. V კლასი. 11.55 — „იარსლავ სმელიაკოვის პოეზია“. 12.25 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 13.00 — მხატვრული ტელეფილმი „და კვლავ თქვენთან ვარ“. 14.15 — ეკრანი — მასწავლებელს. ვ. კატაევი — „ოეთრად ფრაზელებს აფრა ეული“. V კლასი. 15.15 — ახალი ამბები. 15.20 — ისტორიის ფურცლები. რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუცია. 16.45 — ახალი ამბები. 19.00 — მულტფილმები. 19.20 — მუსიკალური კიოსკი. 19.50 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა“. 20.35— „ძალი ნებისა, პატარებო!“ 20.50 — კალათბურთი. რ. კორაჩის თასი. ვაჟები. ლენინგრადის „სპარტაკი“ — საფრანგეთის „ლიმოჟი“. თასების მფლობელთა თასი. ცსკა — ჩეხოსლოვაკიის „ოსტრავა“. 21.30 — რიტმული ტანვარჯიში. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — კინოკომედია „ვარნავალის ღამე“. 23.55 — ახალი ამბები.

18 იანვარი

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — დოკუმენტური ფილმი „სოფია გოლოვკინა“. 10.10 —